პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 255 (5356) | შაბათი, 5 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

ი. სტალინი

მხურვალე ბოლშევიკური სალამი უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეებს

Пламенный большевистский привет колхозникам Украины и Армении

ПАЛКИЙ БІЛЬШОВИЦЬКИЙ ПРИВІТ КОЛГОСПНИКАМ УКРАЇНИ ТА АРМЕНІЇ

ԲՈՑԱՎԱՌ ԲՈԼՇԵՎԻԿՅԱՆ ՈՂՋՈՒՅՆ ՈՒԿՐԱԻՆԱՅԻ ՑԵՎ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿՈԼՏՆՏԵՍԱԿԱՆՆԵՐԻՆ



უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ნ. ხრუშჩოვი.



ზევით: ზაპოროჟსტალის მეტალურგიული კომბინატის ბრძმედი № 3, რომელიც ყველაზე მძლავრია ევროპაში; დნეპროჰესის კაშხალი; პურის ლეწვა კოლმეურნეობაში. **ქვევით:** დასავლეთის საზღვარზე; პურის მკა კომბაინით საკოლმეურნეო მინდორზე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი **მარია დემჩენკო.**

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირის ხალხები შედუღებული არიან ერთ მთლიან ოჯახად. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მეფის დროინდელი ხალხთა საპყრობილის ნაცვლად შექმნილია ურღვევი მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების ძაფებით დაკავშირებულ თანასწორუფლებიან ნაციათა თავისუფალი კავშირი. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მტკიცეა, როგორც სალი კლდე.

ხალხთა მეგობრობის შესახებ დიდი სტალინის ბრძნული სიტყვებით აღფრთოვანებულებმა, საქართველოსა და უკრაინის სს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების სასახელო დღეებში, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა „ზარია ვოსტოკას" საშუალებით ძმური წერილით მიმართეს უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის. მახარაძელ კოლმეურნეთა მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო მოძმე უკრაინის, არამედ ბელორუსიისა და სომხეთის სს რესპუბლიკებშიც. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა „კომუნისტის" საშუალებით მიმართეს წერილით სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის პატარა-შაღრიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შორის გულთბილი, ინტერნაციონალიზმის გრძნობით გაჟღენთილი მიწერ-მოწერა გაიმართა. ხალხთა სტალინური მეგობრობის ამ ნათელ დოკუმენტებში გამოსახულება ჰპოვა კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარებამ, აზვირთდა მძლავრი ტალღა სოციალისტური შეჯიბრებისა უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებს შორის.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების ჩატარების შემდეგ უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეთა შორის არა თუ არ შეწყვეტილა საქმიანი მიწერ-მოწერა, გამოცდილების გაზიარება, არამედ იგი კვლავ შეუნელებელი ძალით გრძელდება. უკრაინის, სომხეთის და საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნენი, ეცნობიან რა ერთმანეთის გამოცდილებას, აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწიონ საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. ასეთი ძმური ურთიერთობა, ერთმანეთისადმი უსაზღვრო სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ სტალინურ ეპოქაში, მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ეროვნული შუღლი, სადაც სამუდამოდ მოსპობილი არიან ექსპლოატატორული კლასები—ნაციონალური შუღლისა და წასისინების პროვოკატორები.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ საბჭოთა კავშირის მთელ გლეხობასთან ერთად წელს მორიგი წარმატებები მოიპოვა უხვი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში.

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ წერილში სთხოვეს უკრაინის კოლმეურნეებს შემოდგომაზე სტუმრებოდნენ ციტრუსოვანთა პლანტაციებში მათი შეძლებული და საამური ცხოვრების გასაცნობად, ძმური მეგობრობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად. ქართველი კოლმეურნენი უდიდესი აღფრთოვანებით მოელოდნენ მოძმე უკრაინის და სომხეთის მოწინავე ადამიანებს, კიდევ უფრო აძლიერებდნენ მუშაობის ტემპებს, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ სასახელო სტუმრებს, და აი ნატვრაც ასრულდა. დღეს საქართველოს დედაქალაქ—თბილისს ესტუმრება სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაცია, ხვალ კი უკრაინის კოლმეურნეთა დელეგაცია. მოძმე რესპუბლიკების საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანთა შეხვედრა ხალხთა სტალინური მეგობრობის ნათელი დემონსტრაციაა. საკოლმეურნეო გლეხობის მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან იმისათვის, რომ შეამოწმონ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და ერთმანეთს გაუზიარონ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის მოპოვებული წარმატებანი, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელებისათვის ბრძოლის გამოცდილება, რაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ქართველ, უკრაინელ და სომეხ ხალხთა ძმურ მეგობრობას. გულმხურვალედ და სიყვარულით ხვდებიან სტუმრებს საქართველოს აყვავებულ ბარაქიან მიწა-წყალზე. ღრმა აზრებით და უდიდესი მნიშვნელობით არის გამსჭვალული ეს შეხვედრა.

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

დიდება და მრავალჟამიერ სიცოცხლე იმ ადამიანს, ვინც ეს მეგობრობა შექმნა და ვისაც საბჭოეთის ქვეყანა ძლევამოსილად მიჰყავს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, უდიდეს გენიოსს. მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის იმედს და სიამაყეს, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენ წინამძღოლს—დიდ სტალინს!

ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი მოძმე საბჭოთა უკრაინის და მოძმე საბჭოთა სომხეთის კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებს!

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 3 ნოემბერი (საკ-დესი). ჩემბერლენის შემდეგ თემთა პალატის კამათში გამოვიდა ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენელი გრინვუდი. „პრემიერის სიტყვამ, — განაცხადა გრინვუდმა, —დიდი იმედგაცრუება გამოიწვია თემთა პალატის ოპოზიციურ ნაწილში. თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც მე მომეპოვება, ომი აბისინიაში სრულიადაც არ დამთავრებულა და იტალია არ შეიძლება ამ ტერიტორიის ნამდვილ პატრონად ჩაითვალოს. თემთა პალატაში დღეს კამათს ადგილი აქვს არსებითად არა ინგლის-იტალიის შეთანხმების საკითხზე, არამედ იმ ფასის საკითხზე, რაც უნდა გადიხადონ მასში, და ეს ფასი გადახდილ უნდა იქნას ესპანეთის ხალხის მიერ.

კამათში გამოსულმა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ინგლისისა და იტალიის მთავრობები სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, როდესაც ისინი ესპანეთის პრობლემის გადაჭრას ეხებოდნენ. „ასეთი მდგომარეობა მე შეუწყნარებლად მიმაჩნია, — სთქვა იდენმა, — და არ მესმის რა რიგად შეიძლება შეთანხმების დადება იმ სახელმწიფოსთან, რომლის ჯარიც ერევა ჩვენთან მეგობრულად განწყობილი ქვეყნის შინაურ საქმეებში. მიუხედავად იმისა, რომ იტალიამ დაიწყო მოლაპარაკება პაქტის დადების შესახებ, იტალიელთა ინტერვენცია ესპანეთში არ შეწყდა. რამდენადაც მე ვიცი, იტალიელთა ექსპერტები, ტექნიკოსები და მფრინავები რჩებიან ესპანეთში იტალიის შეიარაღებულ ძალებთან ერთად, ვინაიდან მათი გაწვევის შესახებ ლაპარაკიც კი არ არის. ახლანდელი გარემოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ საომარი მოქმედება ესპანეთში შეწყდეს ახლო მომავალში. ამიტომ აქ მართებულია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ზამთრის პერიოდში ავიაცია განსაკუთრებულ როლს თამაშობს სამხედრო ოპერაციებში. მანამდე, სანამ იტალიის ავიაცია რჩება ესპანეთში, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იტალიის ინტერვენციის ნამდვილი შეზღუდვის შესახებ. აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ მთავარი პირობა ინგლის-იტალიის შეთანხმების ძალაში შესასვლელად შესრულებული არაა და ეს ფაქტი არ შეიძლება დავუმალოთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ისე, როგორც ბევრი სხვა, მეც მივესალმებოდი ინგლის-იტალიის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაგრამ არ შემიძლია დავიჯერო, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლა დღევანდელ პირობებში ნამდვილად ხელსაყრელი იყოს ჩვენი ქვეყნისათვის". დასასრულ იდენმა განაცხადა, რომ შერიგების პოლიტიკა, რომელიც აგრესორების წინაშე მუდმივი კაპიტულაციით გამოიხატება, საშიშარ შედეგებს შეიცავს.

თემთა პალატამ 345 ხმის უმრავლესობით 138 ხმის წინააღმდეგ მოიწონა წინადადება ინგლის-იტალიის შეთანხმების მოქმედებაში შესვლის შესახებ.

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 3 ნოემბერი (საკ-დესი). როცა ჩემბერლენმა შეიტანა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ თემთა პალატას მოეწონებინა მთავრობის განზრახვა ინგლის-იტალიის მიერ 16 აპრილს დადებული შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ, მან განაცხადა, რომ, მისი აზრით, ამ შეთანხმების დადების შემდეგ ინგლისსა და იტალიას შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. „თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესება, — განაცხადა ჩემბერლენმა, — მაშინ არ შეიძლება დაუსრულებლად განვაგრძოთ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დაყოვნება. ამჟამად ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი არა იმის შესახებ, კარგია თუ ცუდია ეს შეთანხმება, არამედ საკითხი იმის შესახებ, დადგა თუ არა დრო შევიდეს ძალაში ეს შეთანხმება და შესრულებულია თუ არა უკვე წინასწარი მოთხოვნა, რომელიც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს თვით შეთანხმების ძალაში შესასვლელად. ეს წინასწარი პირობა არის ესპანეთის საკითხის მოწესრიგებისა".

ყურადღებას არ აქცევდა რა ფაშისტური იტალიის მიერ სულ უკანასკნელ ხანებში ესპანეთში ჯარების გაგზავნის მრავალრიცხოვან ფაქტებს, ჩემბერლენი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ესპანეთის საკითხი უკვე თითქმის „მოწესრიგებულია", რამდენადაც იტალიამ გამოიწვია ესპანეთიდან 10 ათასი ქვეითი ჯარისკაცი და რამდენადაც მუსოლინი მიუნხენში შეჰპირდა მას, რომ ახალ ჯარებს ესპანეთში აღარ გაგზავნის.

შემდეგ, უპასუხებდა რა აბისინიაზე იტალიის სუვერენიტეტის აღიარების მოწინააღმდეგეებს, ჩემბერლენმა გაიხსენა ერთა ლიგის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თვითეულმა სახელმწიფომ თავისი შეხედულებით უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი. „ამჟამად,—სთქვა ჩემბერლენმა, — ამ საკითხში ჩვენ დავადგებით ისეთსავე ხაზს, როგორსაც საფრანგეთი. ამიტომ ინგლისის ელჩი რომში გადასცემს ახალ რწმუნების სიგელებს, რომლებიც აღნიშნავენ იტალიის სუვერენიტეტის ცნობას აბისინიაზე. საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც ჩვენ ამის შესახებ ვაცნობეთ, არავითარი საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს. მან განაცხადა, რომ მიესალმება საერთოდ ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ინგლის-იტალიის ურთიერთობათა გაუმჯობესებას. შემდეგ ჩემბერლენმა წაიკითხა ავსტრალიისა და სამხრეთ-აფრიკის კავშირის პრემიერების ცნობა, რომ ისინი იწონებენ ინგლის-იტალიის შეთანხმების ძალაში შესვლას. უპასუხებდა რა შეკითხვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ახალი ზელანდიისაგან და კანადისაგან მას არ მიუღია ასეთი ცნობები. შეკითხვაზე, არის თუ არა რაიმე პასუხი ირლანდიისაგან, ჩემბერლენმა არაფერი სთქვა. დასასრულ იგი სთხოვდა თემთა პალატას მოეწონებინა მისი წინადადება ინგლის-იტალიის შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ.

თავი შეიკავეს მთავრობის წინადადებისათვის კენჭისყრის დროს

ლონდონი, 3 ნოემბერი (საკ-დესი). თემთა პალატაში მთავრობის წინადადებისათვის კენჭისყრის დროს ინგლის-იტალიის შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ მთელმა რიგმა გამოჩენილმა კონსერვატორებმა თავი შეიკავეს კენჭისყრისგან, იდენის, ჩერჩილის, კრენბორნის, ნიკოლსონის, გენერალ სპირსის და სხვათა ჩათვლით.

○

თითქმის ყველა გაზეთი ხაზს უსვამს იდენის გამოსვლის იმ ადგილს, სადაც მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის მიერ წამოყენებული სავალდებულო პირობა ინგლის-იტალიის შეთანხმების ძალაში შესვლისა არ არის შესრულებული. იდენის მთელი სიტყვის განმავლობაში კონსერვატორები სამარისებურ სიჩუმეს იცავდნენ და მთავრობის თვით უკიდურესმა მომხრეებმაც კი თავი შეიკავეს ჩვეულებრივი რეპლიკებისაგან.

იდენთან ახლო მდგომი გაზეთი „იორკშირ პოსტი" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ჩემბერლენს არ შეეძლო გუშინ წარმოედგინა არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ იტალიასთან მოლაპარაკების შედეგად მან მიაღწია რაიმე კონტრდათმობას. ინგლისის რომაელი ელჩის ყველა ცდა ესპანეთიდან იტალიის მფრინავების თუნდ სიმბოლური გამოწვევის მისაღწევად ამაო აღმოჩნდა.

იაპონიის მთავრობის დეკლარაცია

ტოკიო, 4 ნოემბერი (საკ-დესი). გუშინ გამოქვეყნდა იაპონიის მთავრობის დეკლარაცია „ახალ ვითარებასთან დაკავშირებით" ჩინეთში იაპონიის პოლიტიკის შესახებ. თავის დეკლარაციაში იაპონიის მთავრობა ცდილობს დაამტკიცოს, რომ იაპონიის არმიამ „უდიდესი გამარჯვებები" მოიპოვა და რომ ჩინეთის ნაციონალური მთავრობის როლი ვითომდა დაყვანილია „ადგილობრივი მთავრობის" როლამდე. იმუქრება რა „ომის განგრძობით ჩინეთის სრულ განადგურებამდე", იაპონიის მთავრობა ამავე დროს წინადადებას აძლევს თავის დეკლარაციაში ჩინეთის მთავრობას „თანამშრომლობა გაუწიოს იაპონიას მშვიდობიანობის დასამყარებლად აზიაში" და დასასრულ მადლობას გამოსთქვამს იმ სახელმწიფოებისადმი, „რომლებიც სოლიდარულად იყვნენ განწყობილნი იაპონიის მოქმედებისადმი".

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თვითმფრინავ „მოსკოვის" გადაფრენის ორგანიზატორთა დაჯილდოების შესახებ

თვითმფრინავ „მოსკოვის" გადაფრენის მოსამზადებლად საპატიოდ ჩატარებული მუშაობისა და მატერიალური ნაწილის კარგად მომზადებისათვის დაჯილდოებულ იქნენ

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. ი. ი. **მალცევი**—№ 39 ქარხნის მთ. კონსტრუქტორის მოადგილე,
2. ა. ი. **ლევინი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
3. კ. ა. **პეტროვი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
4. გ. ი. **სმირნოვი**—№ 39 ქარხნის ოსტატი—სტახანოველი,
5. ვ. ვ. **კალინინი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
6. ვ. ვ. **სემიონოვი**—№ 39 ქარხნის ოსტატი—სტახანოველი,
7. ა. ა. **ნეფედოვი**—№ 39 ქარხნის ოსტატი—სტახანოველი,

„საპატიო ნიშნის" ორდენით:

1. გ. მ. **ლიტვინოვიჩი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
2. ბ. ვ. **კარასევი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
3. ა. პ. **ნაუმოვი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
4. მ. ფ. **ასტახოვი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
5. მ. ი. **მალანინი**—№ 39 ქარხნის საამქროს უფროსი,
6. კ. ნ. **ბოჟანოვი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
7. ა. ი. **განშინი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
8. ი. ა. **კუტეპოვი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
9. ლ. პ. **კოროტკოვი**—№ 39 ქარხნის ინჟინერი,
10. ს. გ. **ელპორტი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
11. პ. ი. **ფედოსიმოვი**—№ 39 ქარხნის კონსტრუქტორი,
12. დ. ა. **ფედოროვი**—№ 34 ქარხნის კონსტრუქტორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1938 წლის 3 ნოემბერი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი

3 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახ. რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგა ლენრაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. **ნ. დოქსოპულოვის** და რკინიგზის სამმართველოს პარტკომის მდივნის ამხ. **თ. მაღრაძის** საანგარიშო მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ. ამხ. დოქსოპულოვისა და მაღრაძის მოხსენებათა გარშემო სიტყვებით გამოსული ამხანაგები, **ა. ხუციშვილი** და **ვ. ლეშჩენკო** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი), **კ. ორჯონიკიძე** (კიროვის სახ. ქარხანა), **კ. ჩაგუნავა** (რკინიგზის პოლიტგანყოფილება), **ვ. ქირია** (№ ნაწილი), **ი. ურიგაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის მდივანი) **ნ. მეტრეველი** („ცენტროლიტის" ქარხანა), **შაუთიძე** (კიროვის სახ. ქარხანა), **კ. ზოლნიკოვი** (ა.-კ. რკინიგზის სამმართველო), **გ. არუთინოვი** (ა.-კ. რკინიგზის სამმართველო), **ე. ცილიკი** (კიროვის სახ. ქარხანა), **ა. გაბუნია** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის მდივანი), **მ. ჩუბინიძე** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის მდივანი) და სხვები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ კიროვის სახელობის ქარხნის და რკინიგზის სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ ღონისძიებათა საფუძველზე.

დასასრულ, პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ.

ლენინის რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. მილშტეინმა.**

6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგება

თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა

პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

თბილისის საბჭოს პლენუმის წევრები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საქართველოს ალკკ ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები — მოსაწვევი ბილეთებით.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის სიტყვა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საკ. ალკკ 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო პლენუმზე აქტივთან ერთად დიდ თეატრში 1938 წლის 29 ოქტომბერს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით მხურვალე ბოლშევიკური სალამი გადავცე ლენინურ კომკავშირს მისი 20 წლისთავის იუბილეს დღეს. **(ტაში).**

კომკავშირს ბევრი რამ მოეპოვება ისეთი, რითაც შეუძლია აღნიშნოს თავისი ოცი წლის იუბილე. ამას მოწმობს ის სახელოვანი გზა, რომელიც კომკავშირმა განვლო ამ წლების მანძილზე, ამას მოწმობენ კომკავშირის დიდი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების წლებში, ორი სტალინური ხუთწლედის წლებში.

ეს, ამხანაგებო, შემთხვევითი როდია.

სოციალიზმის გამარჯვებებმა, სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებამ, ახალ საწარმოო ურთიერთობათა, სოციალიზმის ურთიერთობათა ზრდამ გამოიწვია ადამიანთა ფსიქოლოგიის შეცვლა, გამოიწვია კულტურის ზრდა, ტალანტების უმაგალითო ზრდა ხალხის მასაში. სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და მათი შემდგომი განვითარება და განმტკიცება, რაც დრო გავა, მით უფრო მეტად შეუწყობს ხელს სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სულ უფრო-დაუფრო სწრაფ აღმავლობას.

კომკავშირის გამოცდილების მიხედვით ადამიანთა ეს გარდაქმნა განსაკუთრებით საგრძნობია, განსაკუთრებით თვალსაჩინოა. იგი თავის გამოხატულებას ჰპოვებს ისეთ ფაქტში, როგორიცაა საბჭოთა ახალგაზრდობის წრიდან გამოსულ მოწინავე ადამიანთა ზრდა, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მრავლდება.

ეს არის ახალი საბჭოთა ადამიანის ზრდა, რაც მოასწავებს სოციალიზმის გამარჯვებას და კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს შეიცავს შემდეგში. საბჭოთა თავისუფალმა ადამიანმა უკვე დაგვანახვა, თუ რა შედეგების მოცემა შეუძლია მას შრომის ნაყოფიერების დარგში, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების დარგში, შემოქმედებითი ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა რაც დრო გავა, მით უფრო მეტად მოგვცემს იმის ახალ-ახალ ნიმუშებს, თუ როგორი უნდა იყოს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქე, გაამრავლებს შრომითი გმირობას ჩვენს ქვეყანაში. **(ტაში).**

ლენინურ კომკავშირში 6 მილიონზე მეტი წევრია. ყველა მათგანი როდია დიდი გმირი, არის ბევრი „პატარა“ ადამიანიც, რომლებიც დღეს თუ არა ხვალ შეიძლება გახდნენ გმირები. და აი, ამხანაგებო, ნება მომეცით მივესალმო არა მარტო კომკავშირის დიდ გმირებს, არამედ მის მასასაც, მის „პატარა“ ადამიანებს, რომლებიც აგრეთვე აკეთებენ ჩვენი სოციალისტური რევოლუციისათვის საჭირო საქმეს ისე, როგორც ის გმირები, რომელთა სახელებსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო, კომკავშირის ძალისა და სიმტკიცის წყარო იყო, არის და იქნება ჩვენი ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობა.

ბოლშევიკთა პარტია იდგა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის სათავეებთან, კომკავშირის აკვანთან. კომკავშირის ორგანიზაციასა და მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტურ განათლებაზე მუშაობდა ვლადიმერ ილიას-ძე, მუშაობდა და მუშაობს ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

კომკავშირის ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის ისტორიასთან, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან.

პარტია რაზმავდა ახალგაზრდობას საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან საბრძოლველად სამოქალაქო ომის წლებში. იგი რაზმავდა ახალგაზრდობას სახალხო მეურნეობის აღსადგენად სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. ჩვენი პარტია რაზმავდა ახალგაზრდობას სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის საბრძოლველად.

პარტია მოუწოდებდა და რაზმავდა ახალგაზრდობას ბოლშევიზმის დასაუფლებლად, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დასაუფლებლად, მთელი იმ ცოდნის ათვისებისათვის, რაც დაგროვილია კაცობრიობის მიერ. პარტია ზრდიდა კომკავშირს კომუნიზმის სულისკვეთებით, ასწავლიდა მას რევოლუციური ბრძოლის კანონებს. პარტია რაზმავდა კომკავშირს ხალხის მტრების აღმოსაფხვრელად.

პარტიამ შთაუნერგა კომკავშირს მაღალი თვისებანი — შეუპოვრობა, ვაჟკაცობა, მამაცობა, სიმტკიცე, ბოლშევიკური პრინციპულობა.

აი რატომ მიაღწია კომკავშირმა დიდ წარმატებებს თავის მუშაობაში. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი პარტიის მზრუნველობა და ყურადღება ახალგაზრდობისადმი — ეს შემთხვევითი საქმე როდია. ჩვენი პარტია მუდამ დიდად აფასებდა და აფასებს ახალგაზრდობის როლს კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

ახალგაზრდობის სახით პარტია ხედავს თავის ახალგაზრდა რეზერვს, რომელიც მოდის მუშაკთა უფროსი თაობის შესაცვლელად.

მომავალი ჩვენს ახალგაზრდობას ეკუთვნის. იგი, ახალგაზრდობა, გადამწყვეტ როლს ითამაშებს კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

აი რატომ აძლევენ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახალგაზრდობას სრულქმნის ყველა შესაძლებლობას, მისი ტალანტების განვითარებისა და პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებასა და მუშაობაში ჩაბმის ყველა შესაძლებლობას.

ჩვენს ახალგაზრდობას უზრუნველყოფილი აქვს შრომის უფლება, განათლების უფლება, კულტურული დასვენების უფლება.

ჩვენს ახალგაზრდობას ღია აქვს ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარები, მინიჭებული აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს და აითვისოს კულტურის ყველა მონაპოვარი და მიღწევა.

პარტია კომკავშირს სთვლის თავის ერთგულ თანაშემწედ და მებრძოლ რეზერვად, რომელიც მას აძლევს აქტიურ და თავდადებულ მებრძოლებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბნისათვის. **(მქუხარე ტაში).**

ახალგაზრდობა ჩვენში უდიდესი ძალაა. მას დიდი ხვედრითი წონა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ახალგაზრდობის წარმატებებთან და მის დამკვრელურ, სტახანოვურ მუშაობასთან დაკავშირებულია ახალი ტექნიკის ათვისება, მთელი იმ სიმდიდრის ათვისება, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ცენტრიდან შორეულ განაპირა მხარეებამდე.

ახალგაზრდობის წარმატებებთან დაკავშირებულია ჩვენი გამარჯვებანი და მიღწევები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში.

ცნობილია კომკავშირის როლი ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის — ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ათვისების საქმეში.

ახალგაზრდობა განსაკუთრებულ როლს თამაშობს კულტურული ფრონტის აღმავლობაში, საბჭოთა ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში.

მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საპატიო მოვალეობა მთლიანად ახალგაზრდობისა და კომკავშირის ხელშია სახალხო მასწავლებელთა არმიის სახით.

თავისი ბუნებრივი, ასაკობრივი მდგომარეობით ახალგაზრდობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვაში — ჩვენს არმიაში, ჩვენს ფლოტში, ჩვენს ავიაციაში.

როცა თვალს გადაავლებ კომკავშირის მიერ განვლილ გზას, დაინახავ, რომ კომკავშირის წარმატებანი მეტად დიდია. მაგრამ მე აქ უნდა ვილაპარაკო ამ წარმატებათა ჩრდილოვან მხარეზედაც. ეს წარმატებანი გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, უფრო მნიშვნელოვანი და ყოველმხრივი იქნებოდა, მუშაობაში რომ არ ყოფილიყო დიდი ნაკლოვანებანი და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ის სერიოზული შეცდომები, რომლებიც მან უკანასკნელ დროს დაუშვა ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმეში, კომკავშირში მტრული ელემენტების მხილებისა და მათგან კომკავშირის გაწმენდის საქმეში, კომკავშირელ მუშაკთა ახალი კადრების ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების საქმეში.

ეს ნაკლოვანებანი საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში დაკავშირებულია თავის წარმატებათა ერთგვარ გადაფასებასთან. ამხანაგი სტალინი დაუღალავად გვასწავლის ჩვენ ყველას, და მათ შორის კომკავშირს, რომ წარმატებებს აქვს თავისი მეორე მხარე, რომ წარმატებათა გადაფასებას შედეგად მოსდევს მედიდურობა და თვითალტაცება, რომ თავისი შეფებისადმი ერთგული ადამიანების მხრით ხოტბის შესხმის პირობებში, მისალმებების, სურვილების, პატაკებისა და სხვ. განუწყვეტელი ნაკადის პირობებში, ხელმძღვანელები ზოგჯერ ჰკარგავენ ზომიერების გრძნობას, ისინი ველარ ხედავენ ნაკლოვანებებს, ჰკარგავენ უნარს სწორად შეაფასონ ჩვენი წარმატებანი, ფხიზლად უცქირონ გარემოს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიისა და კომკავშირის მტრები ძალიან სარგებლობდნენ იმით, რომ კომკავშირის ზოგიერთი მუშაკი აღმოჩნდა ყოველგვარი პირმოთნეობისა და შექების მოყვარული. მტრები ამით სარგებლობდნენ იმისათვის, რათა მიეძინებინათ კომკავშირული კადრების სიფხიზლე და დაუსჯელად გაეტარებინათ თავისი საზიზღარი, ძირგამომთხრელი, მავნებლური მუშაობა.

რაც შეეხება კომკავშირში მტრის მუშაობის ხერხების განსაკუთრებულ სპეციფიკას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ხალხის მტრებმა მიაგნეს კომკავშირის ერთერთ ყველაზე სუსტ ადგილს — ყოფაცხოვრებას, გამოაცხადეს რა ყოფაცხოვრება „კერძო საქმედ“. ისინი ცდილობდნენ გადაეცდინათ კომკავშირის კადრები მორალური გახრწნის გზით, — ლოთობა, ძმაბიჭობა, „მეგობრული“ დამოკიდებულება, — ყოველივე ეს გამოიყენეს მტრებმა იმისათვის, რათა კომკავშირელთა მორალურად გახრწნით, გაეხრწნათ ისინი პოლიტიკურადაც, მათი მორალური სიმტკიცის შერყევით, შეერყიათ მათი პოლიტიკური სიმტკიცეც. რადგან არ იყო საკმაო თვითკრიტიკა, არ იყო საკმაო კოლექტიურობა ხელმძღვანელობაში, როდესაც ბევრი კომკავშირული ხელმძღვანელი შექებისა და თვითალტაცებისადმი მიდრეკილებას იჩენდა, მტრის მუშაობის ასეთმა მეთოდმა დიდი ზიანი მიაყენა კომკავშირს. მე პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მტრის ამ მუშაობის შედეგები ჯერ კიდევ სავსებით როდია აღმოფხვრილი კომკავშირში.

კომკავშირის 20 წლისთავის დღესასწაული უფლებას გვაძლევს და გვავალებს ჩვენ არა მარტო შევაფასოთ განვლილი გზა, არამედ დავსახოთ მორიგი ამოცანებიც და შევხედოთ, თუ რისი მოთავება და გამოსწორება არის საჭირო იმისათვის, რათა წარმატებით შევასრულოთ ეს ამოცანები.

კომკავშირს აქვს არა მარტო სახელოვანი ისტორია, არამედ კიდევ უფრო სახელოვანი მომავალიც. ამაში არცერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება. მაგრამ იმისათვის, რათა მეტი წარმატებებითა და ენერგიით გავწიოთ წინ, საჭიროა ნათლად დავინახოთ, თუ რა უშლის ხელს კომკავშირს და რა აფერხებს მის წინსვლას.

ამხანაგებო, იმის შედეგად, რომ კომკავშირში ადგილი ჰქონდა უდარდელობისა და თვითდამშვიდების ელემენტებს, განსაკუთრებით საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, ზიანი მიადგა კომკავშირის წევრთა იდეურ განათლებას, ზიანი მიადგა კადრების იდეურ და პოლიტიკურ ზრდას. რაც ხელიდან გავუშვით, უნდა ავინაზღაუროთ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კომკავშირელთა მთელი მასის, ყველა კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებით ეს შეცდომები და ნაკლოვანებანი გამოსწორდება, გამოსწორდება ენერგიულად და გადაჭრით იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კომკავშირის მუშაობა. **(ტაში).**

მე მინდოდა შევხებოდი კომკავშირული მასების იდეური, პოლიტიკური განათლების საკითხებს. ფაქტია, რომ კომკავშირში პოლიტიკური განათლების საქმე სრულიადაც არ არის თავის რიგზე. აქ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ხმაური, ბევრია მოჩვენებითი, ზერელე. ამავე დროს ამხანაგებო, ახლა ყველა ხედავს, თუ რას იწვევს თეორიის მნიშვნელობის შეუფასებლობა და ჩვენი კადრების თეორიული ჩამორჩენილობა.

პარტიისა და კომკავშირის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული კომკავშირელისაგან აღვზარდოთ იდეურად გამოწრთობილი მებრძოლი, რომელსაც შესწევს პოლიტიკურ და პრაქტიკულ საკითხებში გარკვევის უნარი.

კომკავშირის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ამოცანა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა კომკავშირის წინაშე დასახა — ისწავლოს კომუნიზმი! — რომ ეს ამოცანა განხორციელებულ იქნას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება გახდეს თვითეული აქტიური კომკავშირელის კუთვნილება. უნდა გავაღვივოთ კომკავშირის რიგებში გემოვნება თეორიისადმი.

თქვენ ხართ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მომავალი ხელმძღვანელები, ხოლო თქვენ შორის ნაწილი უკვე სახელმწიფოებრივი მუშაობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები. სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა სამუშაოს სხვადასხვა პოსტზე მომუშავე ხელმძღვანელი კომკავშირული კადრების რაოდენობა დღითიდღე გაიზრდება. ეს ავალებს კომკავშირს, და პირველ რიგში მის კადრებს, ჯეროვნად მოჰკიდონ ხელი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო წარმართავს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, მათ შორის სოფლის მეურნეობასაც. შეუძლებელია ასეთი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, თუ დაუფლებული არა ხარ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების კანონების, მუშათა მოძრაობის კანონების, სოციალისტური რევოლუციის კანონების ცოდნას და თუ არა გაქვს უნარი გამოიყენო თეორია რევოლუციური პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ხელმძღვანელობის გაწევა ხომ, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ნიშნავს არა მარტო იმის დანახვის უნარს, რაც გარშემო ხდება, არა მარტო მოვლენათა რეგისტრირების უნარს, არამედ წინასწარ განჭვრეტის უნარსაც, ე. ი. იმის უნარს, რომ ხედავდე მოვლენებს არა მარტო მათს ახლანდელ მდგომარეობაში, არამედ წინასწარ განჭვრეტდე მათს განვითარებას, გესმოდეს, საითკენ ვითარდებიან ისინი.

წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, თუ არ იცნობ განვითარების კანონებს. პრაქტიკა ბრმაა, თუ მას არ აშუქებს თეორია. თუ რა საზიანო შედეგები მოსდევს თეორიის დავიწყებას და უგულებელყოფას, — ამას გვეუბნება ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის მთელი გამოცდილება. კადრების განსაზღვრული ნაწილი, პოლიტიკაში უფრო ნაკლებ გამობრძმედილი და თეორიის სფეროში უმეცარი, ბუქსირზე აყვანილი აღმოჩნდა მტრული ელემენტების მიერ და ფაშისტურ დაზვერვათა და მათი ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის ნადავლი გახდა.

ეს გაკვეთილი ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. მისგან უნდა გავაკეთოთ ყველა საჭირო დასკვნა.

კომკავშირული კადრების იდეური გამობრძმედა, თეორიული მომზადება საშუალებას მისცემს მათ წარმატებით გადასჭრან კომკავშირის ყველა პრაქტიკული ამოცანა მუშათა, კოლმეურნეთა, საბჭოთა ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის კომუნისტური განათლებისა და აღზრდის საქმეში.

ამხანაგი სტალინი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამბობდა, რომ თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენი კადრები იდეოლოგიურად მოვამზადოთ და პოლიტიკურად გამოვბრძმედოთ ისე, რომ ისინი გადაიქცნენ სავსებით მომწიფებულ ლენინელ-მარქსისტებად, რომელთაც შესწევთ უნარი სერიოზული შეცდომების დაუშვებლად გადასჭრან ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ამით ჩვენ გადავჭრით ყველა ჩვენი ამოცანის 9/10-ს. აი სწორედ ამიტომ ლოზუნგი — დავეუფლოთ ბოლშევიზმს — ჩვენ ლოზუნგიდან უნდა გადავაქციოთ სინამდვილედ. ეს არის კომკავშირის საარსებო და პირველი რიგის ამოცანა. მტრები ახერხებდნენ მოექციათ თავის ქსელში ზოგიერთი კადრები, მათ შორის კომკავშირელებიც, სწორედ ამ კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის მეოხებით.

ყველა ჩვენმა ადამიანმა როდი იცის საკუთარი თავის ფასი და ყოველთვის როდი იციან მათ მტრების ნამდვილი ფასი. დაუფლება მოწინავე რევოლუციური თეორიისა, როგორიც მარქსიზმ-ლენინიზმია, ჩვენს პრაქტიკოსებს ჰმატებს ურყევ ძალასა და სიმტკიცეს თავის მოქმედებაში. ბოლშევიზმის დაუფლება დაეხმარება ჩვენს კადრებს გაიგონ, თუ რა სიმაღლეზე დააყენა ისინი ისტორიამ. ისინი გაიგებენ და შეიგრძნობენ საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა მუშაკის დიად ღირსებასა და სახელს. მათ ეცოდინებათ საკუთარი თავის ფასი და ჩვენი მტრების ნამდვილი ფასი, გაიგებენ რომ მთელი ეს ფაშისტურ-თეთრგვარდიული სიბინძურე, — იგი ხომ საბჭოთა კომკავშირელის ფეხის მტვრადაც არა ღირს! **(ტაში).**

ამხანაგებო, ამ მხრივ ჩვენს კადრებს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს შესანიშნავი წიგნი, — მე მხედველობაში მაქვს „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“. ამ შესანიშნავ წიგნში შეერთებულია და ზღვარული სიცხადით არის გადმოცემული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადი დებულებანი. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითადი ცოდნის ნამდვილ ენციკლოპედიას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა სტალინმა პარტიას, კომკავშირს, მშრომელებს ხელში მისცეს ბოლშევიზმის ეს ახალი მძლავრი იდეური იარაღი, რათა დაეხმარონ ჩვენი კადრების იდეურ შეიარაღებას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თვითეული პარტიულისა და კომკავშირელისათვის სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს.

ჩვენ კომკავშირელებში უნდა გავაღვივოთ გემოვნება თეორიისადმი, უნდა გავუმარტოთ თვითეულ კომკავშირელს, რომ თეორია შესაძენი საქმეა. ჩვენში ბევრს ეშინია თეორიისა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბევრი ჩვენი პროპაგანდისტი დაავადებული იყო ასოკირკიტობითა და მედავითნეობით, ისინი თეორიას არ უკავშირებდნენ ცხოვრებას, ასწავლიდნენ მას როგორც განყენებულ, მშრალ მატერიას. ამავე დროს, ამხანაგებო, თეორიის დაუფლების სიძნელეები წარმოადგენენ ისეთ სიძნელეებს, რომელთა გადალახვა სავსებით შესაძლებელია. ამხანაგი სტალინი მუდამ გვასწავლის ჩვენ, — და ეს ჩვენი ძირითადი წესი უნდა გახდეს, — რომ თეორიის დაუფლება ძნელი არ არის ოღონდ იყოს სურვილი, შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე დასახული მიზნის მისაღწევად — და თეორია თქვენს ხელთ არის.

არ არსებობს ისეთი ცოდნა, რომლის დაუფლებაც არ შეეძლოს ბოლშევიკს, ბოლშევიკ-ქალს, კომკავშირელს, კომკავშირელ-ქალს, თუ ისინი ამას ისე მოისურვებენ, როგორც საჭიროა.

კომკავშირში პროპაგანდა და იდეური აღზრდა დღემდე სწორად არ იყო ორგანიზებული. აღებული ჰქონდათ გეზი წრეების **რაოდენობისაკენ ხარისხის** საზიანოდ. ცდილობდნენ ყველა ჩაებათ საწრეო მუშაობაში და ივიწყებდნენ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარ მეთოდს, რაც დიდი ხანია შემოწმებულია ბოლშევიკთა ძველი თაობის გამოცდილებით, — ინდივიდუალური პოლიტიკური თვითგანვითარების მეთოდს. ადამიანებს უკლავდნენ რწმენას საკუთარი ძალისადმი, იმის შესაძლებლობისადმი, რომ თეორია წრეების გარეშე, დამოუკიდებლად შეისწავლოთ. მრავალრიცხოვანი წრეები სავსე იყო ნაკლებად მომზადებულ პროპაგანდისტთა კადრებით, რომლებიც ხშირად ავულგარებდნენ და აუხამსებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს და ამით გზა-კვალს უბნევდნენ თავის მსმენელებს.

კომკავშირმა ფრიად სერიოზული მობრუნება უნდა მოახდინოს პროპაგანდის დარგში, გულისყური უნდა მიაპყროს ხარისხს, კომკავშირელთა ინდივიდუალურ მუშაობას წიგნზე. ბეჭდვითი სიტყვის ფართოდ გამოყენებას პროპაგანდის საქმეში. თვითეულ კომკავშირელში უნდა აღდგენილ იქნას რწმენა, რომ მას წრის გარეშეც შეუძლია დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას ისევე, როგორც ის ეუფლება ქიმიას, უმაღლეს მათემატიკას, ბიოლოგიას და სხვა მეცნიერებას. უნდა შევამციროთ წრეების რაოდენობა და, როგორც მთავარი მეთოდი იდეური აღზრდისა, აღვადგინოთ მარქსისტულ-ლენინურ წიგნზე კომკავშირელთა დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი. პარტია და კომკავშირი დაეხმარებიან კომკავშირელებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმს სწავლობენ, კვალიფიციური კონსულტაციით, მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოცემით, შესწავლის პროცესში წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემით, ლექციებით და სხვ.

თვითეულ აქტივისტს უნდა ჩავუნერგოთ რწმენა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს და მაშინ კომკავშირის იდეური აღზრდის საქმე სწრაფად წავა წინ.

ამხანაგებო, კომკავშირული კადრების თეორიული და პოლიტიკური მომზადების ამოცანებთან დაკავშირებით, მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა კომკავშირული ინტელიგენციის როლის შესახებ.

კომკავშირული კადრები ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. საბჭოთა ინტელიგენციის უზარმაზარ არმიას შეადგენენ პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული და კომკავშირული აპარატის კადრები, ჩვენი არმიისა და ფლოტის კადრები, ჩვენი დაწესებულებების მოსამსახურენი, მასწავლებლობა, ექიმები, აგრონომები, სავაჭრო და კოოპერატიული მუშაკები და აგრეთვე კადრები, რომლებსაც ამ მუშაობისათვის ამზადებენ სასწავლებლებში, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა. ეს სავსებით ახალი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის. ესენი არიან გუშინდელი მუშები და გლეხები და მუშებისა და გლეხების შვილები, დაწინაურებულნი საკომანდო პოსტებზე. საკუთარი ინტელიგენციის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ სახელმწიფოს წარმატებით მართვას. მისი მეშვეობით მუშათა კლასი აწარმოებს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია, კომკავშირში (და არა მარტო კომკავშირში) ფართოდ იყო გავრცელებული ძველი ანტილენინური, ძირფესვიანად არასწორი შეხედულებანი ინტელიგენციაზე, რაც გამოიხატებოდა მოსამსახურეთა და მოსწავლეთა აბუჩად აგდებით, ინტელიგენციაში, როგორც მეორე ხარისხოვან ადამიანთა შორის, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობით: აქაო და, ამ ხალხს არ გაუვლია ქარხნის ბრძმედი, მათ დაუკოჟრებელი ხელები აქვთო.

გუშინდელ სტახანოველს, რომელიც დაწინაურდა, საწარმოს დირექტორი ან ინჟინერი გახდა, დაუწყებენ აბუჩად აგდებას როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც „მოსწყდა“ მუშებს. აბუჩად იგდებენ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებს, თუმცა ჩვენში უმაღლეს სასწავლებლებში მუშებისა და გლეხების შვილები სწავლობენ.

საჭიროა აღმოიფხვრას ეს ველური, პირდაპირ ხულიგნური და საბჭოთა სახელმწიფოსათვის საშიში დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი.

საჭიროა საბჭოთა ინტელიგენცია შევაიარაღოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით. ამ პირობის გარეშე არ შეიძლება შეგნებულად წარვმართოთ პრაქტიკული საქმიანობა. მას, ვინაც არ იცის თავისი მუშაობის დაკავშირება სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებთან, — არ შეუძლია იცოდეს, საით წარმართოს საქმე, იგი ბრმად მუშაობს.

აი რატომ არის საჭირო, რომ კომკავშირმა მიაპყროს თავისი ყურადღება საბჭოთა ინტელიგენციას. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კომკავშირმა უნდა შეასუსტოს ყურადღება მუშა და გლეხი ახალგაზრდობისადმი. მაგრამ, ეს ნიშნავს, რომ კომკავშირმა უნდა გაშალოს იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა საბჭოთა ინტელიგენციაში, მოსამსახურეებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში, რასაც იგი აქამდე სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევდა.

თუ ინტელიგენციაზე ვილაპარაკებთ ჩვენი განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, მაშინ ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მუშა და გლეხი განათლებული გავხადოთ. გაივლის რამდენიმე წელი და შვიდწლიანი განათლება ხალხის საერთო კუთვნილებად გადაიქცევა.

ცოდნა, განათლება დიდად უნდა ფასობდეს სოციალიზმის ქვეყანაში.

მაშასადამე, კომკავშირის მუშაობაში წინა რიგში იდგება კომკავშირული კადრების იდეური და პოლიტიკური გამობრძმედის საკითხები. ბოლშევიზმის დაუფლება საშუალებას გვაძლევს ტექნიკის დაუფლების ამოცანა გადავჭრათ უფრო წარმატებით, ვიდრე დღემდე. ჩვენ გვაკლია ისეთი კადრები, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ. გამოცდილი კადრების ნაკლებობის გამო, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიღებთ ჩვენი მოწინავე ტექნიკისაგან, ჩვენი პირველხარისხოვანი ფაბრიკებისა და ქარხნებისაგან ყოველივე იმას, რისი მოცემაც მათ შეუძლიათ. თქვენ ჩემზე ნაკლებად არ იცით, რომ არსებობენ მრეწველობის მთელი რიგი დარგები, სადაც ინჟინრები და ტექნიკოსები სანთლით საძებარია. მაგალითისათვის ავიღოთ, თუნდაც, პოლიგრაფიული მრეწველობა, სადაც დიდ საწარმოებში 3—4 ათას მომუშავეზე მხოლოდ რამდენიმე ინჟინერი და ტექნიკოსი მოდის.

ტექნიკას დაუფლებული კადრების მომზადების ამოცანა, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში სპეციალისტთა მომზადების ამოცანა ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. ინდუსტრიის, მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვს ახალ კადრებს, რომლებიც სავსებით დაეუფლნენ ტექნიკას, და კომკავშირი უნდა დაეხმაროს პარტიას ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

კომკავშირმა უფრო ფართოდ და უფრო გაბედულად უნდა მოამზადოს და დააწინაუროს მოწინავე მეცნიერების ადამიანები. ამხანაგი სტალინი კრემლში უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღების დროს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა, რომ მეცნიერების მომავალი მეცნიერ ახალგაზრდობის ხელშია. დაეუფლონ მეცნიერების მწვერვალებს, იყვნენ არა რუტინერები, არამედ ნოვატორები, ისეთი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი დაამსხვრიონ მეცნიერებაში მოძველებული ტრადიციები და წინ წასწიონ იგი — აი ახალგაზრდობის ამოცანა. ხოლო ამისათვის საჭიროა მეცნიერული ცოდნის მწვერვალების დაუფლება. კომკავშირმა ყველა დარგში ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ კომკავშირის მიერ დედასამშობლოსათვის მიძღვნილ საჩუქრებს შორის იყოს ისეთი საჩუქრებიც, როგორიცაა თეორიული შრომები მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პროპაგანდისტული კადრები. ამჟამად ასეთ საჩუქრებზე ჯერჯერობით არაფერი ისმის. კომკავშირმა უნდა შექმნას მეცნიერ მუშაკთა ისეთი კადრები, რომლებსაც ეცოდინებათ მარქსისტულ-ლენინური თეორია. ჯერჯერობით კი ამ მხრივ კომკავშირის მუშაობა სუსტია.

რამდენიმე სიტყვა კომკავშირის შინასაორგანიზაციო ამოცანებზე.

კომკავშირმა განუზომლად უფრო მეტად, ვიდრე დღემდე ხდებოდა, უნდა ჩაუნერგოს კომკავშირის ყველა წევრსა და ახალგაზრდობის მთელ მასას ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის საფუძვლები. ეს თვისებანი ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციას აკლია. კომკავშირის ბევრ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი უთაურობას კომკავშირული მეურნეობის მიმართ, ორგანიზაციულ უხერხემლობას, დისციპლინის მოშლილობას.

საჭიროა სავსებით გავითვალისწინოთ ის გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობენ ისეთი ფაქტებიდან, როგორიცაა მტრული ელემენტების გაძრომა კომკავშირში კომკავშირელ მუშაკთა მორალურად გახრწნის გზით. კომკავშირული აქტივი კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ახალგაზრდობის მასებს. კომკავშირულმა აქტივმა თავისი ყოფაცხოვრება როდი უნდა ააგოს მასისაგან მოწყვეტაზე, როგორც ეს დღემდე ხდებოდა, როდესაც აქტივისტები ყოფაცხოვრებაში განკერძოებული იყვნენ ახალგაზრდობის მასების ცხოვრებისაგან, თითქოს ხუტორებში ცხოვრობენო. აქტივისტთა ნაწილის ასეთი ბატონკაცური დამოკიდებულება ახალგაზრდობის მასებისადმი უნდა აღმოვფხვრათ, ხოლო მისი მატარებლები — გამოვამჟღავნოთ.

იმისათვის, რომ ახალგაზრდობის მასების წინამძღოლი გახდეს, კომკავშირული აქტივი უნდა ცხოვრობდეს და მუშაობდეს ახალგაზრდობასთან ერთად, მის ცხოვრებასთან, მუშაობასთან, დასვენებასთან, მის გართობასთან, მის სიძნელეებთან, გაჭირვებასთან და სიხარულთან. აქტივი იქით უნდა მიისწრაფოდეს, სადაც ახალგაზრდობა არის, დაუღალავად უნდა ანათლებდეს და რაზმავდეს მას.

კომკავშირი თვალყურს უნდა ადევნებდეს იმას, რომ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები კომკავშირში არ ირღვეოდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკისა და თვითკრიტიკისადმი აქტივის ნაწილის მხრით გემოვნების მოდუნება მეტად საშიში რამეა. მას კადრების გაქვავებისაკენ მივყავართ. ხოლო თქვენს წინაშე მთელი ჩვენი მუშაობის განუწყვეტელი გაუმჯობესების ამოცანა დგას. თქვენ მოგელით სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების ამოცანა, — საბჭოთა აპარატში ჯერ კიდევ მრავალია ნაკლოვანება, ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, თაღლითობა, სოციალისტური საკუთრებისადმი მავნებლური დამოკიდებულება და სხვ.

თქვენ უფრო გაბედულად უნდა დააწინაუროთ კომკავშირული კადრები ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე, არ უნდა გაჰყინოთ ისინი.

ახლა ჩვენ გვყავს 25-26 წლის ასაკის ახალგაზრდები — საწარმოების დირექტორები, უდიდესი სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების, საკვლევო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, მრეწველობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელები. და ეს ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან საქმეს. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ თქვენ სრულიადაც არ უნდა გეშინოდეთ ახალგაზრდობის დაწინაურებისა. კომკავშირმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც კი საჭიროა, იმისათვის, რათა მის ორგანიზაციებში ადამიანები დიდხანს არ ბანდდებოდნენ, ვინაიდან ადამიანთა დიდხანს დაბანდება ლპობას გამოიწვევს. რაც უფრო მალე გაივლიან კომკავშირული კადრები მუშაობის ყველა საფეხურს, დაწყებული პირველადი უჯრედით და გათავებული კომკავშირის საოლქო კომიტეტით, ცენტრალური კომიტეტით და ა. შ., მით უფრო სწრაფად გაიზრდება რეზერვები ბოლშევიკური ენერგიითა და ცეცხლით აღსავსე ახალგაზრდა მუშაკთა დასაწინაურებლად ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო სამუშაოზე და მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება მივიზიდოთ პარტიაში მზარდი კომკავშირელები.

უნდა გადავლახოთ მავნე ცრურწმენა, როდესაც „ძველი“ კომკავშირელები, რომლებსაც ჯერ კიდევ ოცდაათი წელი არ შესრულებიათ, ოც-ოცდაორი წლის კომკავშირელებს ისე უყურებენ, როგორც ბალღებს.

მაგალითისათვის აიღეთ ძველი ბოლშევიკური გვარდია. ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენლები უკვე 19-20 წლის ასაკში ეწეოდნენ უდიდეს პარტიულ მუშაობას. თქვენთან კი ახლა ხშირად ოცი წლის ახალგაზრდებს პირყვითელა ბარტყებად სთვლიან და არ უშვებენ მათ პარტიაში. ეს უხეში შეცდომაა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს ახალგაზრდებს სავსებით შეუძლიათ გაართვან თავი მუშაობის ძალიან პასუხსაგებ უბნებს სახელმწიფო მართვა-გამგეობის, მეურნეობის ხელმძღვანელობისა და სხვ. დარგში.

უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ქალიშვილებს შორის. ეს მუშაობა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. კომკავშირის ზოგიერთ ფენაში არსებობს პირდაპირ არასწორი დამოკიდებულება ქალიშვილთა დაწინაურებისადმი. მე ვფიქრობ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც ამხანაგ გრიზოდუბოვას, ოსიპენკოს და რასკოვას შესანიშნავი გმირული გადაფრენა მოხდა, რომელსაც აქვს არა მარტო პრაქტიკული, არამედ ღრმა პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა, — ახლა, ამ მაგალითის შემდეგ, ჩვენი ქალიშვილებისათვის უფრო ადვილი იქნება წინ წაწევა. კომკავშირში ქალიშვილები უდიდესი ძალაა. საჭიროა, რათა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უქმად არ იყოლიონ ეს ძალა, არამედ საშუალება მისცენ ქალიშვილებს გამოიჩინონ თავი კომკავშირული მუშაობის ყველა დარგში.

დასასრულ მე მინდა მოგაგონოთ კომკავშირის უპირველესი მოვალეობა — მისი მონაწილეობა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

ამხანაგებო, სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ლაპარაკობს მთელი საერთაშორისო ვითარება. უკვე გაჩაღდა მეორე იმპერიალისტური ომი მსოფლიოს ახალი განაწილებისათვის, რაც აგრესიულმა ფა-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა

ბსსრ
უსსრ
ჩერნიგოვი
ჟიტომირი
კიევი
პოლტავა
ხარკოვი
ვინიცა
კამენეც-პოდოლსკი
დნეპრი
დნესტრი
სტარობელსკი
არტემოვსკი
მაკეევკა
კიროვო
დნეპროპეტროვსკი
დნეპროძერჟინსკი
მოლდავეთის ასსრ
კრივოი როგი
სტალინო
როსტოვი
ზაპოროჟიე
მარიუპოლი
ტირასპოლი
კიშინიოვი
ნიკოლაევი
დონი
ოდესა
აზოვის ზღვა
კრასნოდარი
ყუბანი
ყირიმის ასსრ
სიმფეროპოლი
დუნაი
შავი ზღვა

უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

ხალხთა ერთიან ოჯახში მოკავშირე 11 რესპუბლიკას შორის მოსახლეობით და თავისი სამეურნეო ძლიერებით საბჭოთა უკრაინას რსფსრ-ის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. უკრაინის მთელი მოსახლეობის 80 პროცენტი უკრაინელები არიან, დანარჩენ 20 პროცენტში შედიან რუსები, ებრაელები, პოლონელები და მოლდაველები. უკრაინას უჭირავს მთელი სსრ კავშირის ფართობის ერთი მეორმოცდაათედი ნაწილი, მოსახლეობით კი იგი სსრ კავშირის ერთ მეოთხედ ნაწილს შეადგენს.

ოქტომბრის რევოლუციამდე, როგორც სხვა კუთხეების, ისე უკრაინის მშრომელებიც დიდ ნაციონალურ ჩაგვრასა და გაჭირვებას განიცდიდნენ. საკმარისია ითქვას, რომ რევოლუციამდე უკრაინის გლეხობის 16 პროცენტს სრულიად არ ჰქონდა ნათესი, 16,2 პროცენტს ჰქონდა ნათესი ერთ დესეტინამდე, 45,5 პროცენტს არ ჰყავდა მუშა-პირუტყვი, 44,9 პროცენტს არ გააჩნდა მიწის დასამუშავებელი ინვენტარი. 41 მილიონი დესეტინა მიწიდან 14 მილიონი დესეტინა ნოყიერი და საუკეთესო მიწა ეჭირათ მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს, კაპიტალისტებს, 7,5 მილიონ დესეტინა მიწას ჰფლობდნენ კულაკები.

უკრაინაში ბევრი ბუნებრივი სიმდიდრეები მოიპოვება. აქ არის ქვანახშირი, მარილი, რკინის მადანი, ვერცხლისწყალი და სხვ. რევოლუციამდე ეს სიმდიდრე უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა გამოუყენებელი იყო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად უკრაინა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე, აყვავებული მოკავშირე რესპუბლიკა გახდა, იგი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობით.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში უკრაინაში აგებულ იქნა მძიმე ინდუსტრიის მრავალი ახალი გიგანტი, მათ შორის: დნეპრჰესი, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, დნეპროვსკის ალუმინის კომბინატი, „ზაპოროჟსტალი“, კრივოი როგის მეტალურგიული კომბინატი, ხარკოვის ტურბოგენერატორის ქარხანა, ვოროშილოვგრადის ორთქლმავალმშენებელი ქარხანა და სხვ. ნახშირის ამოღების მხრივ საბჭოთა უკრაინას ამჟამად მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს. შარშანწინ აქ ცხრა მილიონი ტონა თუჯი გამოუშვეს, ორჯერ მეტი ვიდრე 1913 წელს მეფის მთელ რუსეთში, ერთნახევარჯერ იმაზე მეტი, რასაც ახლა უშვებს საფრანგეთი და ოთხჯერ მეტი, ვიდრე იაპონია უშვებს. ომამდელ დონესთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება უკრაინაში 17-ჯერ გაიზარდა.

მრეწველობასთან ერთად საბჭოთა უკრაინაში ფართოდ განვითარებულია სოფლის მეურნეობაც. უკრაინის მშრომელი მოსახლეობის 96 პროცენტზე მეტი კოლმეურნეობებშია გაერთიანებული. კოლმეურნეებს სახელმწიფოს მიერ უფასოდ, სამუდამო სარგებლობაში გადაცემული აქვთ 35 მილიონამდე ჰექტარი მიწა. უკრაინის საკოლმეურნეო მინდვრებზე ამჟამად მუშაობს 88.000-ზე მეტი ტრაქტორი, 27.000-ზე მეტი კომბაინი და ათასობით სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. კოლმეურნეობათა მთელი სათესი ფართობის 99 პროცენტს მტს-ები ამუშავებენ.

უკრაინის ბარაქიან საკოლმეურნეო მინდვრებზე საუკეთესოდ ხარობენ: თავთავიანი კულტურები, სიმინდი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, სელი, თამბაქო, ბამბა. საბჭოთა კავშირის პურის საერთო მოსავლის ერთი მეოთხედი უკრაინაზე მოდის. შარშან უკრაინამ 1 მილიარდი და 300 მილიონი ფუთი პური მოიყვანა, იმაზე მეტი, ვიდრე გერმანიამ, უნგრეთმა და პოლონეთმა ერთად.

ამჟამად უკრაინა რევოლუციამდელ დონესთან შედარებით ორჯერ მეტ კარტოფილსა და ბოსტნეულს თესავს და იძლევა საბჭოთა კავშირის შაქრის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ორ მესამედს. უკრაინა მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია აგრეთვე თავისი მაღალპროდუქტიული მეცხოველეობით.

იზრდება და იფურჩქნება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ამჟამად უკრაინის მარტო საშუალო სკოლებში 4,3 მილიონზე მეტი მუშათა და კოლმეურნეთა შვილები სწავლობენ, 21-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდე. 5-6-ჯერ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. 1913 წელს მთელ უკრაინაში ნაციონალურ ენაზე მხოლოდ ერთი გაზეთი გამოდიოდა, ახლა კი გამოდის 1461. ამჟამად უკრაინაში 85 თეატრი არსებობს და 5500-ზე მეტი კინოდანადგარია მოწყობილი. უკრაინაში მუშაობს 20 ათასზე მეტი ექიმი. 1914 წელს მთელ უკრაინაში დედათა და ბავშვთა დაცვის მხოლოდ სამი კონსულტაცია არსებობდა, ახლა კი არის 772.

ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის სიტყვა

(დასასრული)

ფაშისტურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს. ამ ომში აგრესიულ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს კაპიტულანტური საქციელი ეგრეთწოდებული „დიდი“ დემოკრატიული ქვეყნებისა, რომლებიც თავისი პოლიტიკით გზას უკაფავენ ფაშიზმს და პოზიციას პოზიციაზე უთმობენ მას. საერთაშორისო ურთიერთობათა ძველ წესრიგში დასმულია ფაშისტური ჩექმა და ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ აქედან ყოველგვარი პრაქტიკული დასკვნები. იმ პერიოდში, როდესაც ქაღალდის ნაგლეჯებად აქცევენ საერთაშორისო უფლებრივ ნორმებსა და ურთიერთობათ და მათ უხეში ძალა სთელავს, ჩვენ განსაკუთრებით ძლიერნი უნდა ვიყოთ. საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება წარმოადგენს სსრ კავშირზე გარედან თავდასხმის წინააღმდეგ ყველაზე მძლავრ გარანტიას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ხასანის ამბები და ჩვენი შორეულაღმოსავლეთელების საგმირო საქმეები ხასანთან იაპონელ სამურაების წინააღმდეგ ბრძოლებში. ეს ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებისათვის უსარგებლო როდია **დაჯერება იმულების ბაზაზე** (მქუხარე ტაში).

იაპონელი სამურაები ყოველნაირად ცდილობდნენ დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერი ქვეყანაა. ჩვენ იძულებული გავხდით მიგვეცა მათთვის ეს თვალსაჩინო გაკვეთილი. ამით ჩვენ გაფრთხილება მივეცით საბჭოთა კავშირთან ომის ყველა მსურველს, რომ ასეთ გაკვეთილებს მიიღებენ ყველა შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მხრიდან წამოგვეპოტინებიან. (ტაში).

რათა ერთხელ და სამუდამოდ დავუკარგოთ ჩვენს საზღვრებში შემოჭრისა და ჩვენი ძალების მოსინჯვის ხალისი, ჩვენ მოვალენი ვართ დაუღალავად ვიზრუნოთ ჩვენი არმიის, ფლოტისა და ავიაციის შემდგომი სრულყოფისათვის. ჩვენ მომავალშიც უნდა გვყავდეს პირველხარისხოვანი არმია, პირველხარისხოვანი არტილერია, პირველხარისხოვანი ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ჩვენ უნდა ვისროლოთ ყველაზე შორს და ყველაზე უკეთ, ჩვენ უნდა ვფრინავდეთ ყველაზე შორს, ყველაზე მაღლა და ყველაზე სწრაფად! ამ ამოცანის გადაჭრაში კომკავშირი განსაკუთრებულ როლს შეასრულებს. და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კომკავშირი წარმატებით გაართმევს თავს ისეთ ამოცანას, როგორიცაა ჩვენი არმიისა და ფლოტის აღჭურვა თავდაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებებით და სამხედრო ტექნიკის დაუფლება. **(ტაში).**

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ვუსურვო ლენინურ კომკავშირს შემდგომი წარმატებანი მის ძნელ და სახელოვან მუშაობაში სოციალიზმის განმტკიცებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ამხანაგო კომკავშირელებო და კომკავშირელო-ქალებო! დაეუფლეთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, კიდევ უფრო მტკიცედ ისწავლეთ კომუნიზმი, შეიარაღდით ცოდნით. აღზარდეთ საკუთარი თავი და ჩვენი ახალგაზრდობა პარტიისადმი, სამშობლოსადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. **(ტაში).**

მაშ დღეგრძელი იყოს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ახალგაზრდობა მტრების თავზარდასაცემად და ჩვენი სამშობლოს საბედნიეროდ!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ხუთმილიონიან კომკავშირულ მოდგმას!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას და ლენინის საქმის დიად განმგრძობს —ამხანაგ **სტალინს**! (მქუხარე ტაში).

სალამი მაღალი მოსავლის ოსტატებს

სულითა და გულით მივესალმები უკრაინის და სომხეთის მაღალი მოსავლისათვის მებრძოლ კოლმეურნეებს, რომლებიც საკოლმეურნეო სტალინური წესდების განუხრელად გატარების საფუძველზე მტკიცედ იბრძვიან საკოლმეურნეო ფართობების უახლესი ტექნიკის მიხედვით დამუშავებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებამ, რომელიც სამი რესპუბლიკის კოლმეურნეებს შორის იყო დადებული, უეჭველად დიდი ნაყოფი გამოიღო როგორც მაღალი მოსავლის მიღების, ისე ამ რესპუბლიკების ხალხთა მტკიცე დამეგობრების საქმეში.

დღევანდელი ზეიმი იმავე დროს არის საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეთა ზეიმი, იმ კოლმეურნეებისა, რომლებიც ახალ საამურ და ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით.

პროფ. ა. მაჭავარიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მნიშვნელოვანი ფაქტი

უკრაინელ და სომეხ კოლმეურნეთა დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში მთელი საბჭოთა ხალხის საზეიმო დღეა. უკრაინის, სომხეთის და საქართველოს კოლმეურნეთა გამოცდილების ურთიერთშორის გაზიარება და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, რომელსაც ამ სამი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები მოახდინენ, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია.

ძვირფასი სტუმრების — უკრაინის და სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაციის ჩამოსვლა იმდენად დიდმნიშვნელოვანი და მრავლის მომასწავებელი ფაქტია, რომ მე, როგორც ხელოვნების მუშაკს, მსურს დღევანდელი დღე ვიდღესასწაულო მთელი საქართველოს, უკრაინის და სომხეთის ხალხთან ერთად და მივულოცო მათ ხალხთა სტალინური ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცება.

აკ. ვასაძე

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

ილო მოსაშვილი

მარია დემჩენკოს

სიზმარია თუ ჟღცნაურ ღელვას
უცხო სიმები შეუბამს გულზე,
კრემლის დარბაზში დგეხარ და ბელადს
უბედნიერეს თვალებით უმზერ.

სიზმარია თუ მზის სხივოსნებამ
ნაცნობ მინდვრებზე აჰყარა ბზელი,
დგეხარ და როგორც ტკბილი ოცნება
მხარზე გეხება ბელადის ხელი.

გახსოვს: ავდარი უშენდა გუშინ,
წვიმაში ტანი დნებოდა ღამის,
ავსილი მკერდით ჩამდგარი ხნულში
თეთრი თითებით ვარცხნიდი ყამირს.

მინდორზე ორთქლი რძესავით იწვა,
მინდორზე დილა დნებოდა რძეში,
და ხელის გულზე გამთბარი მიწა
თვითეულ ნერგთან მიგქონდა პეშვით.

და როცა ღამეს დაცემულს პირქვე
შავი ტოტები გაეწყო ცამდი,
შენ მიწოლილი ბალახზე იქვე
ლია თვალებით ვარსკვლავებს სვამდი.

არ გქონდა ძილი. ხნულები ფართო
ღამეს ბიცსო დამწვარი ფიფქით,
შენ ოცნებობდი ბელადზე მარტო
და კრემლის კარებს აღებდი ფიქრით.

დგეხარ და ფიქრობ—რამდენჯერ, როგორ
შეემიხარ მიწას ვაჟკაცურ მკერდით,
დღეს კი სოფლიდან მოსული გოგო
ამაყად დგეხარ ბელადის გვერდით.

დგეხარ და სამას გატეხილ ღამეს
მშვიდად უამბობ გმირო ჭკვიანო,
და გინდა ქროლვამ თვითეულ წამის
მცირე ხნით მაინც შეიგვიანოს,

რომ შენი სიტყვა მიიღოს ფიცად,
რომელსაც ჩვენი სამშობლო ელის,
და შენის ხელით დავარცხნილ მიწას
თბილად შეეხოს პოეტის ხელიც.

რომ სიტყვა დღემდე ნაგდები უქმად
დილის შუქივით დაადგეს სტრიქონს,
და ჩემი გულის ყოველი სუნთქვა
შენს პეშვზე დაყრილ მიწასთან იყოს.

ხალხთა მეგობრობის ზეიმი

სოციალიზმის ქვეყნის ხალხები ერთიან ოჯახში არიან გაერთიანებულნი და ხელიხელ ჩაკიდებულნი ეწევიან სოციალისტურ მშენებლობას.

ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს უკრაინის, საქართველოს და სომხეთის კოლმეურნეობებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

უკრაინელი, სომეხი და ქართველი კოლმეურნეები შეხვედრისას ერთმანეთს მოუთხრობენ თავიანთ შეძლებულ და საამურ ცხოვრებაზე, იმ ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მათ ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ და დიდმა **სტალინმა** მიანიჭეს.

უკრაინისა და სომხეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელთა შეხვედრა ქართველ კოლმეურნეებთან არის ნათელი დემონსტრაცია ხალხთა სტალინური მეგობრობისა.

აკ. ხორავა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი.

◆

სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. პატარა-შაღრიარის მე-3 ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელთა შეხვედრა მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებთან 1938 წლის 27 სექტემბერს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

უკრაინული დღიურიდან

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

გლეხური კილომეტრი გაგიგონიათ, ეს გაუთავებელი კილომეტრი! ამ კილომეტრმა მომიღო ბოლო. დილას-აქეთ მოვდივარ, უკვე მოშუადღევდა და ჩუპირამდე მაინც ერთი კილომეტრი იყო. ასე მეუბნებოდა ყოველი შემხვედრი. მეტი არ ნაკლები მაინც ეთქვათ. ყველას ის ჩემი მომსპობი რიცხვი ეკერა პირზე. დავიღალე. თავაწყვეტილი ქარი მდევარივით კიჟინებდა ნაპურალზე. ჩვენებურ ზენაქარს ჰგავდა. მასავით მშრალი და ცხელი... მასავით სულმოუთქმელად დამიკოცნა პირისახე და ისე ამომწვა თვალები, თითქოს გახურებულ თონეში ჩამახედესო. სული ამომხართვა, იმდენი მაბანცალა. მე-შენ გეტყვი, რომ დააკავებდა ამ ტრიალ მინდორზე. გარშემო ხის ნასახიც არ იყო, ერთი გორაკიც არ მოსჩანდა, არაფერი ისეთი, რომ ჩემზე მაღალი ყოფილიყო. ასე მივჩანჩალებდი კარგახანს, რომ სადღაც ტბასთან ბრეზენტით გადახურული ტრაქტორი დამეწია. ქოჩორა, შავგრემანი ბიჭი მართავდა.

— ჩუპირამდე შორსაა?—გადავძახე მასაც. იმ იმედით, რომ ტრაქტორისტი მაინც მომცემდა ქვეითებისაგან განსხვავებულ პასუხს.

შემატყო რომ მიჭირდა, თუ მოსაუბრეს ეძებდა ამ დაუღეველ გზაზე, მაშინვე გამომძახა—ჩამოჯექიო, და საჭესთან დაგორებულ ცარიელ ბიდონზე ტყაპუჭი დამიფინა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა!

— პავლო,—გამეცნო ქოჩორა ბიჭი, როცა მუქდრო ბრეზენტს თავი შევაფარე. მერე ამხედ-დამხედა, მიხვდა რომ აქაური არ ვიყავი და სახელი ელოდა, გვარიც დაუმატა — ხოდაკოვსკი ვარო. მეც ჩემი ვინაობა ვუთხარი.

— „შრომა“? ვიცი, როგორ არა! რთველზე დაგვპატიჟეს, — იყვირა გახარებულმა პავლომ და სხაპასხუპით მიამბო, როგორ გამოეხმაურა მათი კოლმეურნეობა გურულების მიწვევას.

ქარში და ტრაქტორის გრუხუნში მისი სიტყვები ნაწყვეტ - ნაწყვეტად მესმოდა. პავლო ხმას არ ზოგავდა. ხმაურის გადაყვირებას ცდილობდა. მოკირწყლულ შარაგზიდან ტრაქტორი რბილ ნაპურალზე გადაიყვანა და ღიმილით განაგრძო, ქალი და კაცი გამგელებული იბრძვის თვითეული თავთავისათვის, თვითეული ძირი ჭარხლისათვის. პირობის თანახმად, გურულებს იგი ესტუმრება, ვინც უკეთეს მოსავალს მოიწევსო.

— აი მეც,—პავლო ჩემსკენ გადმოიხარა და ტუჩებთან მოკეცილი ხელისგული ყურთან მომადო, თითქოს ეშინია, ეს ძვირფასი სიტყვები ქარმა არ მოსტაცოსო:—მეც ძალიან ვცდილობ... ძლიერ მენატრება სტალინის სამშობლო ვნახო.

შუადღისას ბაღებში ჩაფლულ ჩუპირას მივაღწიეთ. დახუნძულ ტოტებს თავი დაეხარათ, მადლობას უძღვნიდნენ ნოყიერ მიწას. ტბისპირას ჩამწკრივებული, ახლადშელესილი და კარფანჯრებ მოხარატებული სახლები გარინდებით მისჩერებოდნენ წყალში მოცახცახე ანარეკლს, თითქოს უხაროდათ, რომ ასეთი კეკლუცები იყვნენ. ტბაზე ჰავლი გადარბოდა და გედივით ყელმოღერებულ დუმფარებს არხევდა.

პავლომ მანქანა რომელიღაც ეზოსთან დააყენა და კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გამომყვა. ბაღებს ვავყევით. გრილოდა. მყუდროება იყო. მხოლოდ ხანდახან ბებერი ვაშლის-ხე გაიჭრიალებდა სადმე. მიწაზე რბილად დაეცემოდა გადამწიფებული ნაყოფი, და მაშინ ჩრდილში მიყრილი ღორები ყურებს სცქვეტდნენ და სულწასული ღრუტუნით ხისკენ მიგლიჯანობდნენ.

უცებ ხელმარჯვენივ ფიცხი — ლაპარაკი მოგვესმა.

— ტარასი, კაცი რა ხარ! სახლიდან გინდა გამაგდო!—ცხარობდა შავებში ჩაცმული დედაკაცი.

იგი სახლის უკან იდგა, ჩელტებზე დახვავებულ კვახებს ასწორებდა. შუახნის იქნებოდა. აქა-იქ თმაში თეთრი უბრწყინავდა, თუმცა პირისკანი კვერცხივით სუფთა ჰქონდა, ერთი ნაოჭიც არ აჩნდა.

— რაც გინდა ის ჰქენი. გეყო, რამდენიც გადროვე. დღესვე უნდა დამიცალო!—გულმოსულად უთხრა ხესთან მდგომმა მამაკაცმა, მიწაზე დაგდებული კვახი ჩელტზე შეაგორა და წასასვლელად მოემზადა.

— ამდენი სული სად მოვთავსდეთ, კაცო!—მიაძახა ქალმა.

მამაკაცი მობრუნდა.

— რა შეუსმენელი ხარ, მარინა! მეც რომ მთხოვენ და მაჩქარებენ! არ მთხოვენ?

— ვინ ამბობს, არ გთხოვენო, მარა, შემოდი და შენი თვალით ნახე, თუ რამე მომეხერხება.

ისინი ქოხში შევიდნენ.

უხერხულად ვიგრძენი თავი. შემრცხვა, რომ ისეთი ამბავი გავიგონე, რაც ალბად უცხო სტუმარს არ უნდა გამეგონა.

პავლო მიმიხვდა, ღიმილით მკითხა:

— იცი რაზე ჩხუბობენ?

— მგონი, ქოხის დაცლას სთხოვენ, — ყოყმანით ვუთხარი.

— არა, მე კაცო,—ჩაიცინა პავლომ:—მაგას ხორბლის წაღებას სთხოვენ, ხორბლის, მარინას შარშანდელი მოსავალიც არ გამოლევია ჯერ. წლევანდელი ხორბალი სკოლაში დაყარა და არ მიაქვს, ადგილი არა მაქვსო. სკოლას კი რემონტი სჭირდება. ოთხასი შრომადღე მარტო მარინამ გამოიმუშავა წელს, ახლა ოჯახის წევრები... სად დასტევს!

ქოჩორა ბიჭმა მერე ხმას დაუწია და გულდაწყვეტით მითხრა:

— მე მაგაზე მეტი შრომადღე მაქვს, მარა საქართველოში მაინც მარინას გამოგზავნიან; ქალია და ამაშია საქმე, ამითი მჯობნის.

საქართველოს სსრ
სომხეთის სსრ
ლენინაკანი
კიროვაკანი
დილიჟანი
ტბა სევანი
ახ. ბაიაზეთი
ეჩმიაძინი
ერევანი
ოქტემბერიანი
ნახიჭევანის ასსრ

სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხეთი ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო. სომხეთმა თავისი ძველი სახე ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეიცვალა. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით მოძმე რესპუბლიკებთან ერთად სომხეთი ინდუსტრიულ-აგრარულ მხარედ გადაიქცა.

პირველი და მეორე ხუთწლედის მანძილზე სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობაში 1.253 მილიონი მანეთი იქნა დაბანდებული, აქედან 540 მილიონი მანეთი მარტო სამრეწველო მშენებლობას მოხმარდა. შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ქიმიური, საფეიქრო, თამბაქოს, საკონსერვო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, საპნის, ბამბის საწმენდი და სხვ. მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 71,6 პროცენტს აღემატება.

სომხეთში ფართოდ არის განვითარებული ქიმიური მრეწველობა. ამუშავებულია კიროვაკანის ქიმკომბინატი, ერევნის კარბიტის ქარხანა, ალავერდის შაბიამნის ქარხანა. შენდება ალავერდის გოგირდმჟავას ქარხანა და გოგირდმჟავას კომბინატი „სოვპრენ“. მარტო ამ უკანასკნელის მშენებლობაზე 1938 წლამდე 11.445 ათასი მანეთი დაიხარჯა. გარდა ამისა, სომხეთის სს რესპუბლიკაში უხვად მოიპოვება ისეთი ძვირფასი სამშენებლო მასალები, როგორიცაა: არტიკის ტუფი, გრანიტი, დიატომიტი, ცემენტის ნედლეული, მინქაფა და მარმარილო.

სომხეთს აქვს მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები და შენდება კიდევ ახალი. მარტო შარშან ელექტროენერგიის წარმოებამ აქ 235 მილიონ კილოვატ-საათს მიაღწია.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით და მზრუნველობით სომეხი კოლმეურნეები ჰქმნიან შეძლებულს, მხიარულსა და ლაღ ცხოვრებას. საბჭოთა სომხეთის სოფლის მშრომელი მოსახლეობის 90 პროცენტი ამჟამად კოლმეურნეობებშია გაერთიანებული. წელს მინდვრის კულტურებს აქ 435.680 ჰექტარი ეჭირათ. სომხეთის კოლმეურნეობებს შარშანდელთან შედარებით ხილის ბაღებს უჭირავთ 10.300 ჰექტარი, დაშნაკების ბატონობის დროს კი მათი ფართობი 1.500 ჰექტარს არ აღემატებოდა. წელს ბამბა სომხეთში 17 ათას ჰექტარზე დაითესა, წელს 22 ათასი ჰექტარით მეტი ნათესი ჰქონდათ. მარცვლეულ კულტურებს დაშნაკების ბატონობის დროს სომხეთში ეკავათ 78.400 ჰექტარი, ამჟამად კი 356.200 ჰექტარი უჭირავთ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე წლის დასაწყისისათვის გაშენებული ჰქონდათ ვენახი 12.000 ჰექტარზე. ხეაქედან 16.500 ჰექტარზე მარტო კოლმეურნეობებში. თამბაქო გაშენდა 2.860 ჰექტარზე.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის სომხეთის სს რესპუბლიკაში იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 417.000 სულით და წვრილფეხა პირუტყვი 727.000 სულით მეტი, ვიდრე 1919 წელს.

სომხები ძველი კულტურის მქონე ხალხია, მაგრამ თვითმპყრობელობისა და დაშნაკების ბატონობის დროს მათ არ აძლევდნენ გასაქანს. ამჟამად სომხეთის სსრ დაწყებითსა და საშუალო სკოლებში 280.000 მოსწავლე ირიცხება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხეთში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა კი არის რვა, სადაც 5.000 სტუდენტი სწავლობს. გარდა ამისა, არსებულ 48 ტექნიკუმსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში ჩარიცხულია 7.852 სტუდენტი. 1913 წელს სომხეთში ნაციონალურ ენაზე მხოლოდ რვა გაზეთი გამოდიოდა, ახლა კი გამოდის—66, თეატრი სრულიად არ იყო, ახლა კი არის 17, კინოდანადგარი 6-დან 171-მდე გაიზარდა.

რესპუბლიკის საერთო ბიუჯეტიდან წელს სახალხო განათლებაზე სომხეთში 192 მილიონი მანეთი იხარჯება, ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე — 51 მილიონი მანეთი.

სომხეთის ხალხმა ქართველ, აზერბაიჯანელ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად მჭიდრო ურღვევი, მეგობრული კავშირით ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია.

ნატანებელ კოლმეურნეთა დელეგაცია სომხეთში

(ტელეფონით საუბარი დელეგაციის ხელმძღვანელ ამხ. დ. ჭეიშვილთან)

3 ნოემბერს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა დელეგაციამ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობაში დაათვალიერა ბამბის პლანტაციები და გაეცნო მოსავლის აღების ტექნიკას.

ბამბის პლანტაციებიდან კოლმეურნეები გაემართნენ საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმისაკენ. აქ დაათვალიერეს კოლმეურნეობის ჯიშიანი ცხენები, მეწველი ძროხები, ცოცხალი გამწევი ძალა და სხვ.

ამის შემდეგ კოლმეურნეობამ სტუმრები მიიწვია გამგეობის ბინაზე, სადაც მოხდა პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობის წევრთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმება. კოლმეურნეობას წელს 213 ჰექტარი ბამბის პლანტაციიდან რაიონული გეგმით 1 დეკემბრამდე უნდა აეღო და ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის 262 ტონა ნედლეული, ჰექტარზე საშუალოდ 12,2 ცენტნერი, ხოლო სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებით კი—20 ცენტნერი. ფაქტიურად 3 ნოემბრისათვის კოლმეურნეობას აღებული და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდა 290 ტონა ბამბა, წლიური გეგმის 110,7 პროცენტი. როგორც შემოწმებით გამოირკვა, კოლმეურნეობას შეუძლია ამავე ფართობზე წელს დამატებით აიღოს 1200-1300 ცენტნერი ბამბა, ჰექტარზე არანაკლებ 22 ცენტნერისა.

კოლმეურნეობას მოსავლიანი ვაზი გაშენებული აქვს 7 ჰექტარზე. რაიონული გეგმით თვითეულ ჰექტარზე უნდა მიეღოთ 60 ცენტნერი ყურძენი. ნატანების კოლმეურნეობასთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით კი იკისრეს ჰექტარზე 80 ცენტნერი მოსავლის აღება. კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე უკვე აიღო 85 ცენტნერი ყურძენი.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობა მიიღებს 1 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს და გარდა პროდუქტებისა შრომადღეზე გასცემს 19 მანეთამდე.

3 ნოემბერს ნატანებელ კოლმეურნეთა დელეგაცია ეცნობოდა თვითეული ბრიგადისა და ცალკეულ სტახანოველთა მუშაობის გამოცდილებას. აგრეთვე უზიარებდა მათ თავიანთ მიღწევებს.

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციასთან

სადგ. პროხლადნაია, 4 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 4 ნოემბერს საღამოს მინერალურ წყლებზე თქვენი კორესპონდენტი შეხვდა უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციას, რომელშიც 29 კაცი შედის. დელეგაციას მეთაურობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **თედორე კლიმენკო** და უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის რწმუნებული **ლუკა პონომარჩუკი**.

დელეგაციაში შედიან უკრაინის სსრ უმაღლესის საბჭოს დეპუტატი **სტეპანიდა კამინსკაია**, კიევის გორკის სახელობის ქარხნის წარჩინებული სტახანოველი **სტეფანე ლისტოპადოვი**, კოლმეურნეობა „კრასნი გონჩარის“ მწყემსი ორდენოსანი **სერგი ზელენსკი**, კიევის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, ორდენოსანი **პაშა გრიშჩენკო**, საკ. კ. პ. (ბ) სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორდენოსანი **პავლე ნენადო**.

დელეგაციას თან ახლავს კინოქრონიკის ბრიგადა და გაზეთების კორესპონდენტები.

სენ-კატაიამა — მებრძოლი ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ

5 წლის წინათ — 1933 წლის 5 ნოემბერს — გარდაიცვალა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ნიჭიერი ორგანიზატორი და იაპონიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი სენ-კატაიამა.

კატაიამა განასახიერებდა იაპონიის რევოლუციის ორ მთავარ ძალას — პროლეტარიატსა და გლეხობას. იგი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, ახალგაზრდობაში გახდა სტამბის მუშა, და მას შემდეგ განუწყვეტლივ ეწეოდა რევოლუციურ ბრძოლას. კატაიამას სახელი სიმბოლოა იაპონიის ყველა მშრომელთა ერთიანობისა მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, მილიტარიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც გამოცხადდა ომი მეფის რუსეთსა და იაპონიას შორის, კატაიამამ და მისმა სოციალისტმა ამხანაგებმა მოაწყეს მამაცური ბრძოლა ომის წინააღმდეგ. მათ 1904 წელს მოწოდებით მიმართეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებს, აცხადებდნენ რა, რომ ისინი მტრულად არიან განწყობილი ომის მიმართ და მზად არიან იბრძოლონ გაბატონებული კლასების წინააღმდეგ.



კატაიამა იყო წარმომადგენელი იაპონელი სოციალისტებისა II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესზე. მან აღიმაღლა იაპონიის მშრომელი ხალხის ხმა მილიტარისტების საშინელი დანაშაულის წინააღმდეგ.

კონგრესის შემდეგ კატაიამა დაბრუნდა იაპონიაში, სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მუშათა მოძრაობას ესაჭიროებოდა მისი ხელმძღვანელობა. მან მოაწყო მთელი რიგი სოციალისტური ჯგუფები და შეუდგა სოციალისტური გაზეთის გამოცემას, მან წარმატებით ჩაატარა ტრამვაის მუშების გაფიცვა ტოკიოში. რევოლუციური მუშაობისათვის კატაიამა დააპატიმრეს და მოათავსეს კატორღის ციხეში 9 თვით. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ 1913 წელს, კატაიამა, პოლიციის მიერ დევნილი, იძულებული გახდა წასულიყო ამერიკაში და უკვე იქიდან ეხელმძღვანელა იაპონიის რევოლუციური მოძრაობისათვის.

ამ დროისათვის ომის ღრუბლები ჩამოწვა ევროპაზე. როდესაც ატყდა მსოფლიო იმპერიალისტური ომი, როდესაც დაირღვა II ინტერნაციონალი და პლეხანოვი გადავიდა შოვინისტების ბანაკში, კატაიამა სრულიად უყოყმანოდ განაგრძობდა იმავე პოზიციების დაცვას, რომლებიც მან 10 წლის წინათ დაიკავა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს იგი გამოდიოდა ომის წინააღმდეგ, ამხელდა მის ყველა იმპერიალისტ სულისჩამდგმელებს და რაზმავდა პროლეტარიატის ძალებს ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. კატაიამამ მოაწყო ომის საწინააღმდეგო კამპანია არა მარტო იაპონელ ემიგრანტებს შორის, არამედ ამერიკელ მუშებს შორისაც.

როდესაც 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა გაიმარჯვა, აიღო რა თავის ხელში ხელისუფლება, — კატაიამა დადგა ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ და გახდა კომუნისტური პარტიების ერთერთ დამფუძნებლად ამერიკაში და იაპონიაში.

1921 წელს იგი ჩამოვიდა მოსკოვში. კომინტერნის III კონგრესზე იგი არჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის წევრად და მისი პრეზიდიუმის წევრად. მაგრამ იმ მომენტში იაპონიის იმპერიალისტური არმია ჯერ კიდევ იმყოფებოდა ციმბირის ტერიტორიაზე. და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანა იყო — ერთხელ და სამუდამოდ განედევნა ყველა სამურაი საბჭოთა ტერიტორიიდან. კატაიამამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო ამ ამოცანის გადაჭრაში. ის ამზადებდა იაპონიისა და კორეის რევოლუციურ კადრებს, რათა აეფეთქებინა იმპერიალისტების ზურგი. იგი სწერდა ფურცლებს, რომლებიც ვრცელდებოდა იაპონელ ჯარისკაცებს შორის.

მის მიერ გამოშვებულ ერთერთ ფურცელში იგი მიმართავდა იაპონელ ჯარისკაცებს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ წითელარმიელები იბრძვიან რევოლუციისათვის არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ აგრეთვე მსოფლიო რევოლუციისთვისაც, რომ იაპონელი ჯარისკაცები თავს კი არ უნდა ესხმოდნენ წითლებს, არამედ უნდა ეხმარებოდნენ მათ.

კატაიამამ თავის მთავარ ამოცანად დაისახა იაპონიის მილიტარიზმის მტაცებლური ინტრიგების გამომჟღავნება და კომუნისტური პარტიების მშენებლობა იაპონიაში, კორეაში და ფორმოზაზე. იგი დაუღალავად ეხმარებოდა კომუნისტური პარტიების განვითარებას ჩინეთში, მონღოლეთში და სხვა ქვეყნებში.

1931 წელს იაპონელი მილიტარისტები შეიჭრნენ მანჯურიაში. კატაიამა წინააღუდგა იაპონელი ფაშისტების ახალ დანაშაულს. მძლავრი იარაღის—თავისი კალმის და ორატორული ნიჭის დახმარებით, მიუხედავად თავისი ხნოვანობისა, იგი უდიდესი აღშფოთებით სწერდა და გამოდიოდა ჩინელი ხალხის მკვლელებისა და მძარცველების წინააღმდეგ და მისი ქვეყნის აკლების წინააღმდეგ. იგი აღაგზნებდა იაპონიის კომუნისტებს ფაშისტი მილიტარისტებისა და მათი აგენტების—ტროცკისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. კატაიამას მოწოდება საბრძოლო გამოხმაურებას პოულობდა იაპონიის რევოლუციურ პროლეტარიატში. იაპონიის კომუნისტური პარტია გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ომის წინააღმდეგ, იგი აწყობდა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს უმნიშვნელოვანეს ქალაქებსა და სოფლებში, აწყობდა გაფიცვებს სამხედრო ქარხნებში, მან აამხედრა გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, იგი აწყობდა რევოლუციურ ჯგუფებს ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის.

იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ გაჩაღებულ რევოლუციური მოღვაწეობის დროს სენ-კატაიამა უცებ გახდა ავად და გარდაიცვალა.

იაპონიის ფაშისტი მილიტარისტები კვლავ შეიჭრნენ ჩინეთის მატერიკის სიღრმეში, რათა ეძარცვათ ეს ქვეყანა. იაპონელი აგრესორები ჰკლავენ მრავალ უდანაშაულო ჩინელ ქალებსა და ბავშვებს, სპობენ ქალაქებს. ისინი აღატაკებენ თავის ქვეყანასაც უდიდესი სამხედრო ხარჯებით. იაპონიის მშრომელთა ასეული ათასობით შვილები მოკლულ და დაჭრილ იქნენ ფრონტზე. იაპონიის სახალხო შემოსავლის ნახევარი მიმდინარე წელს დახარჯულია გამანადგურებელ ომზე.

იმ დროს, როდესაც სამხედრო მრეწველობის მუშები ილაჯგაწყვეტილი არიან არაადამიანური ექსპლოატაციით, არასამხედრო მრეწველობის ორ მილიონზე მეტი მუშა გამოყრილია ქუჩაში. მილიტარისტებმა აიკლეს იაპონიის სოფლები, თოფის ქვეშ დააყენეს გლეხი ახალგაზრდობა, წაართვეს ცხენები, მაღლა ასწიეს ფასები მრეწველობის საგნებზე და სხვ.

ფაშისტი გენერალი არაკი, იაპონიის განათლების მინისტრი, სპობს ყველა „საშიშ" წიგნებს და ყველა სკოლებს აქცევს შრომის ბანაკებად. ფაშისტი ადმირალი სუეცუგუ, შინაგან საქმეთა მინისტრი, აპატიმრებს ათასობით მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენტებს, რომლებსაც არ უნდათ აქტიურად დაუჭირონ მხარი ომს.

იაპონიის კომუნისტური პარტია უმძიმეს პირობებში მუშაობს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაკაი-ტაისიუტოს ბელადები მილიტარისტებს მიეყიდნენ და მუშებს შორის ქადაგებენ სოციალ-შოვინიზმს. იაპონელი ტროცკისტები ეწევიან უაღრესად ბინძურ მუშაობას ქვეყნის შიგნით და ფრონტზე ჩინელ ტროცკისტებთან ერთად.

მიუხედავად უსასტიკესი ფაშისტური ტერორისა, კატაიამა ცოცხლობს იაპონელი მუშების გულში. მის მიერ აღმართული დროშა აღაფრთოვანებს და ამხნევებს ყველა მშრომელს. იაპონიის პროლეტარიატი იბრძვის ომისა და ფაშიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ იაპონიის კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით. ომიანობის დროის პირობებში განუწყვეტლივ მრავლდება გაფიცვები და გლეხების დიდი შეჯახებანი მემამულეებთან. და ლოზუნგი „შესწყვიტეთ ომი, რომელიც საჭირო არ არის", ვრცელდება არა მარტო მუშებსა და გლეხებს შორის, არამედ აგრეთვე წვრილ მრეწველებსა და სავაჭრო ბურჟუაზიას შორის, რომლებიც იჩაგრებიან ფაშისტი დამპყრობლების გამანადგურებელი პოლიტიკისაგან.

შორს არ არის ის დღე, როდესაც იაპონელი იმპერიალისტები აღიგვებიან ხალხის მრისხანების ქარიშხალში, ხოლო ჩინელი ხალხი განდევნის იაპონელ ბარბაროსებს თავისი მიწა-წყლიდან.

ო.

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირი

დღეს, 5 ნოემბერს, ამსტერდამში (ჰოლანდია) მსოფლიოს რვა უძლიერესი მოჭადრაკე — მსოფლიოს ჩემპიონი ალიოხინი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები ეივე (ჰოლანდია) და კაპაბლანკა (კუბა), კომკავშირელი ორდენოსანი გროსმეისტერი ბოტვინიკი (საბჭოთა კავშირი), ესტონეთის ჩემპიონი, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა გროსმეისტერი (22 წლისა) კერესი, ამერიკის ჩემპიონი რეშევსკი, გროსმეისტერები ფლორი (ჩეხოსლოვაკია) და ფაინი (ამერიკა) შეებმებიან ერთმანეთს საჭადრაკო ხელოვნების ახალი შემოქმედებითი ნიმუშების შესაქმნელად.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ტურნირი თავისი შემადგენლობით ყველაზე ძლიერია მსოფლიოში ოდესმე ჩატარებული ტურნირებიდან.

ამსტერდამის მატჩ-ტურნირში არ არიან სუსტნი. ტურნირის თვითეულ მონაწილეს დაახლოვებით თანაბარი შანსი აქვს მოხვდეს გამარჯვებულთა რიცხვში. შედეგის შემთხვევითობას ამცირებს ის გარემოებაც, რომ მონაწილენი ერთმანეთს ორ-ორ პარტიას ეთამაშებიან.

დღეს იხსნება ქუთაისის სახ. თეატრის სეზონი



კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, რეჟისორი გრ. სულიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. იმედაშვილი, ც. ამირეჯიბი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ანთაძე, ან. მურუსიძე, ვ. ჩხიკვაძე, კ. აბესაძე და გ. ნაცვლიშვილი.

ფარდის ახდის წინ

დ. ანთაძე

საქ. სს რესპ. დამსახ. არტისტი, ქუთაისის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე

თითქმის მეხუთე წელია, რაც ქუთაისი უთეატროდ არის. ასეთი მდგომარეობა შედეგია ამჟამად უკვე მხილებული მტრების მავნებლური მუშაობისა. ოთხი წლის განმავლობაში ისეთი დიდი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, როგორიცაა ქუთაისი, მოკლებული იყო საკუთარ თეატრს. პარტიისა და ხელისუფლების, კერძოდ, ქუთაისის ხელმძღვანელი ამხანაგების აქტიური მონდომებით და დახმარებით, ქუთაისს კვლავ ექნება საკუთარი მუდმივი თეატრი.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ ამხ. **ლავრენტი ბერიას** ინიციატივა ქუთაისში საკუთარი თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. ასეთივე შეუნელებელი ყურადღებით ეპყრობა ქუთაისის თეატრის აღორძინებისა და წარმატების საქმეს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **კ. ჩარკვიანი.**

თეატრის ხელმძღვანელობას მოუხდა მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაჭრა. ნორმალური მუშაობისათვის საჭირო იყო დასის შემადგენლობის დაკომპლექტება, რეპერტუარის შერჩევა და თეატრის შენობის რეკონსტრუქცია.

ქუთაისის თეატრი მდიდარი იყო კადრებით, მაგრამ ოთხი წლის უმოქმედობის შედეგად ეს კადრები დაიქსაქსნენ და გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა ცენტრალურ და რაიონულ თეატრებში. უპირველეს ყოვლისა თეატრმა მიმართა ჩვენი სცენის გამოცდილ ოსტატებს: რესპ. სახ. არტისტს ა. იმედაშვილს, რესპ. დამს. არტისტს ი. ზარდალიშვილს, ც. ამირეჯიბს, ა. მურუსიძეს, შ. ხონელს, ვ. ჩხიკვაძეს და სხვებს. შერჩეულ იქნენ მთელი რიგი თვალსაჩინო მსახიობები სხვა თეატრებიდან: თ. ღვინიაშვილი, კ. აბესაძე, მ. ხვანიძე, ს. ვაჩნაძე, მეგრელიშვილი, ნაცვლიშვილი, გვენცაძე, ხვიჩია, თ. კიკნაძე, ა. გაბუნია, ტატიშვილი, ქარცივაძე, ლ. შენგელია, ალ. ჭავჭანიძე და სხვ. ამავე დროს ადგილობრივი კადრებიდან თეატრმა შესძლო შემოეკრიბა მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც უახლოეს დროში დაიკავებენ მტკიცე ადგილს ქართულ სცენაზე.

თეატრი დახმარებას უწევს ჩვენი სცენის ნიჭიერ ახალგაზრდობას სამხატვრო - აღმზრდელობითი მუშაობით. ამ მიზნით ახალგაზრდობასთან სწარმოებს სტუდიური მეცადინეობა.

მუდმივ რეჟისორ - დამდგმელად მუშაობს გ. სულიაშვილი. თეატრის კომპოზიტორად მოწვეულია თ. ვახვახიშვილი, მთავარი მხატვარია კ. სანაძე, მუდმივი მხატვარი — მდივანი. ცალკე დადგმების მხატვრულ გაფორმებაზე იმუშავებენ — დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, ლემანჟავა და სხვ. აქაც თეატრს განზრახული აქვს ახალგაზრდა რეჟისორ-ასისტენტს ს. ოყრომიძეს მისცეს დამოუკიდებელი სამუშაო.

თითქმის სამი თვეა, რაც თეატრის კოლექტივმა დაიწყო მზადება 1938-39 წ.წ. სეზონისათვის. პირველ დღეებიდანვე თეატრში შეიქმნა მტკიცე დისციპლინა. კოლექტივი დიდი ენერგიით და ენტუზიაზმით, პასუხისმგებლობის სრული გრძნობით ემზადება მომავალი სეზონისათვის, რათა გაამართლოს პარტიის, ხელისუფლების და ქუთაისის საბჭოთა საზოგადოებრიობის ნდობა.

მეორე რთული საკითხი, რომელიც ჩვენი თეატრის წინაშე იდგა, ეს იყო რეპერტუარის საკითხი; თეატრი ძირითადად შეჩერდა ქართველი საბჭოთა დრამატურგების პიესებზე, რომლებიც ასახავენ ჩვენს დიად სტალინურ ეპოქას, სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა მხარეებს ჩვენს სამშობლოში. ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავმა მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" მისცა ჩვენს დრამატურგებს უმდიდრესი მასალა ისტორიულ-რევოლუციური პიესების შესაქმნელად. ასეთია ნახუცრიშვილისა და გამრეკელის დრამა „ლადო კეცხოველი". პიესის თემაა ბოლშევიკთა პირველი ორგანიზაციების ჩამოყალიბება და კერძოდ კეცხოველის რევოლუციური მუშაობა და ბრძოლა ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ამ პიესით ხსნის სეზონს ქუთაისის სახელმწიფო თეატრი. ლ. კეცხოველის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ვ. მეგრელიშვილი. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის კ. სანაძეს. მუსიკა კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილისა.

საკოლმეურნეო ცხოვრების, კოლმეურნეობაში ახალი ადამიანების გაზრდის თემაზეა აშენებული პ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება" და ს. შანშიაშვილის პიესა „ფოლადაური".

ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი" ასახავს საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებას; მიმდინარე წელს დაიდგმება აგრეთვე ი. ვაკელის ისტორიულ - რევოლუციური პიესა „შამილი" და შიუკაშვილის კომედია „მზე შინა და მზე გარეთა" — ჩვენი ახალგაზრდობის გმირობის, ბედნიერი და მხიარული ცხოვრების თემაზე.

თეატრი მიზნად ისახავს აითვისოს და გააცნოს მაყურებელს კლასიკური კულტურის მემკვიდრეობაც — უახლოეს ხანში დაიდგმება უ. შექსპირის „ოტელო". ოტელოს როლს ასრულებს რესპ. სახ. არტისტი ა. იმედაშვილი, იაგოს— რესპ. დამს. არტისტი ი. ზარდალიშვილი. საორიენტაციო რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე უ. შექსპირის „მეფე ლირი" ა. იმედაშვილის მონაწილეობით, რომელზედაც იგი რამდენიმე წელია მუშაობს. თეატრმა სრული პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი გენიალური მწერლის მ. გორკის დრამატურგიული მემკვიდრეობის ათვისებას. ამჟამად იგი მუშაობს მ. გორკის პიესა „მტრებზე", რომელიც ქართულ სცენაზე პირველად იდგმება.

თეატრის მთელი შემადგენლობა დიდი ენტუზიაზმით და პასუხისმგებლობის გრძნობით მოემზადა სეზონის გახსნისათვის. ოქტომბრის 21 წლისთავისათვის, 6 ნოემბერს, ქუთაისის სახელმწიფო თეატრი დაიწყებს თავის შემოქმედებით მუშაობას.

ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სამშობლო ყველაზე ბედნიერი და უძლეველია. მისი მრავალმილიონიანი ერები მტკიცედ და ურყევად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მისი ძლიერება დღითიდღე იზრდება და არსად არ არის ხელოვნება და ხელოვნების მუშაკნი ისე უზრუნველყოფილნი და ბედნიერნი, როგორც აქ, საბჭოთა ქვეყანაში, დიდი სტალინის მზის ქვეშ.



პაპანინის სახელობის ქუჩა ქ. დნეპროპეტროვსკში (უკრაინის სსრ).

ქუთაისის თეატრი

ქუთაისის თეატრი ჩემთვის ბევრი მოგონებისა, ფიქრისა და აღტაცების მომგვრელია.

მე ვმსახურობდი ქართულ სცენაზე ლადო მესხიშვილის დროს და დავიწყე სცენაზე მუშაობა ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის საუცხოო მოღვაწის კოტე მესხის მოღვაწეობისას.

მას აქეთია მოვდევ ქუთაისის თეატრს ფიზიკურადაც და, მგონი, მორალურადაც.

ხსენებულ დიდ სახელებს და დიდ მუშაკებს მოჰყვა საკვირველი კოტე მარჯანიშვილი, ნოვატორი და რეფორმატორი საერთოდ ქართული თეატრის დისციპლინისა.

ეს იყო დიდხანს, დიდხანს.

მხოლოდ...

აგერ ოთხი წელიწადია ქუთაისის ქართული თეატრი, ქართული დრამატიული დასი დადუმდა. ქუთაისის სახელოვანი თეატრი დაიხურა.

ყველამ ვიცით, რომ ეს ბოროტი მახვილი ხელოვნების სასიცოცხლო ტაძარს ჩასცეს პირდაპირ გულში ხალხის მტრებმა.

მაგრამ მტერი უძლური აღმოჩნდა. მან ვერ მოუსპო თეატრს სიცოცხლე.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით დღეს ქუთაისის თეატრი კვლავ დგას საკუთარ და მაგარ ფეხებზე.

საქმე აქვს ჩაბარებული დიდად გამოცდილს, ენტუზიასტს და მაღალ ოსტატს ქართული თეატრალური ხელოვნებისა. მას შემოკრებილი ჰყავს კოლექტივი, როგორც უკვე გამოცდილი, სახელოვანი არტისტული ძალებისაგან, ისე ახალგაზრდა ნიჭიერი ძალებისაგან.

ეს საწინდარია მომავალი დიდი გამარჯვებისა.

ჩვენ, დრამატურგები, მოვალენი ვართ ქუთაისის თეატრს, მის ხელმძღვანელს ამხ. დოდო ანთაძეს მივაწოდოთ ჩვენი საუკეთესო ნაწარმოებნი და ამით კიდევ უფრო მეტად ვემსახუროთ ჩვენს კულტურას.

შალვა დადიანი

საქ. სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

აღტაცებული ვარ

ქუთაისში მე უკანასკნელად ათი წლის წინათ ვიყავი, იმ დროს, როცა აქ მუშაობდა დიდი რეჟისორი, განსვენებული კოტე მარჯანიშვილი. როცა პირველად შევდგი ფეხი პატარა, მოუწყობელი თეატრის შენობაში, ჩემთვის ძნელი შეიქნა იმის წარმოდგენა, თუ აქ რაიმე საჭირო და ნაყოფიერი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. მაგრამ სწორედ თეატრის ამ პატარა შენობაში ჩამოყალიბდა დიდი თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს ქუთაისის თეატრის შენობას ვეღარ იცნობს კაცი. მოხდა მისი მთლიანი რეკონსტრუქცია.

მე ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ქუთაისის თეატრში მოწვეული ვარ სამუშაოდ.

სიტყვას ვიძლევი, რომ, როგორც კომპოზიტორი. არ დავიშურებ ენერგიას, რათა ჩემი მუშაობით ხელი შევუწყო ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი, ნათელი, სახარულო სპექტაკლების შექმნას.

თამარ ვახვახიშვილი.

კომპოზიტორი.

დამატებითი მატარებლები

საოქტომბრო დღესასწაულებთან დაკავშირებით, ა.-კ. რკინიგზის სამმართველომ დანიშნა დამატებითი სახალხო მატარებლები № 92 და 91 თბილის-ბათუმს შორის.

მატარებელი № 92 თბილისიდან წავა 5 და 7 ნოემბერს ღამის 10 საათსა და 2 წუთზე და ბათუმში იქნება დილის 9 საათსა და 40 წუთზე.

ბათუმიდან დამატებითი მატარებელი № 91 წამოვა 6 და 8 ნოემბერს დღის 5 საათსა და 35 წუთზე და თბილისში იქნება ღამით 5 საათსა და 3 წუთზე. (მატარებლების წასვლა-მოსვლა ნაჩვენებია ადგილობრივი დროით).

დიდი ლაშქრობა კაბარჯინაზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავის აღსანიშნავად სპორტული საზოგადოებები „მშენებელი" და „მედიკი" აწყობენ დიდ ალპინისტურ ლაშქრობას ყაზბეგის რაიონში მწვერვალ კაბარჯინაზე, რომლის სიმაღლე 3200 მეტრს უდრის, ხოლო ასვლის სიძნელის მხრივ ის მეორე კატეგორიის მწვერვალებს მიეკუთვნება.

ლაშქრობაში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნიკოსები, ექიმები და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები, რიცხვით 40 კაცი მათ შორის ოთხი ქალია.

მწვერვალზე ასვლა დაიწყება 6 ნოემბერს დილით. საღამოს ლაშქრობის მონაწილენი დაბრუნდებიან ბანაკში, ხოლო დილით ადრე გამოემგზავრებიან თბილისს საოქტომბრო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ლაშქრობის კომანდორად საქართველოს ალპიურმა კლუბმა გამოჰყო სსრკ ალპინიზმის ოსტატი ამხ. ალ. ჯაფარიძე, ინსტრუქტორებად დანიშნული არიან გამოცდილი მთასვლელები: ამხ. ჯაგინოვი, ონიანი, მარჩენკო, გაბლიანი, ბოლქვაძე და კეთილაძე.

გუშინ საღამოს ლაშქრობის მონაწილენი გაემგზავრნენ კობში.

„რუსთაველი" ჭიათურის თეატრში

ჭიათურის სახელმწიფო თეატრში მორიგ პრემიერად დაიდგა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. დადიანის „რუსთაველი". პიესა მიეძღვნა სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავს. პიესა დაიდგა ს. ცომაიას რეჟისორობით, მხატვარი შ. სიდამონ-ერისთავი, მუსიკა რ. გოგნიაშვილის.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: შოთა—მ. ვაშაძე, თამარ—თ. აბაშიძე (საქ. რესპ. დამსახ. არტისტი) და თ. ერისთავი, კახაბერი—დ. ჯაფარიძე, თაჰმთა—ვ. სვანელი და თ. ლოლაძე, მზევინარ—ბ. რომანიშვილი და ე. ჯაფარიძე, ჭაბუა—გ. ტყაბლაძე, ერგასლიძე—ა. შონია, დათუნა—შ. ჯანუაშვილი.

პიესამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

თეატრი მორიგ პრემიერად, ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავთან დაკავშირებით, ამზადებს ა. დიუმას პიესას „მისი ცოლი". დადგმა რეჟ. გ. გორდაძის, მხატვარი შ. სიდამონ-ერისთავი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

5 ნოემბერს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაციები საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე. კონსულტანტები: ქართულ ენაზე ამხ. ს. მოისწრაფიშვილი, რუსულზე — ამხ. მ. კანტერე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქვანახშირი და მარგანეცი

3 ნოემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1026	902	87,9
ტყვარჩელი	715	751	105
ჭიათურა	5530	3996	72,3

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.	5/XI	6/XI	8/XI
	მუდ. ადგ. ტალ. № 18 ლაისი	თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი ოქტომბრის დიდი რევოლუციის 21 წლისთავისადმი.	მუდ. ადგ. ტალ. № 19 ლაისი
	დასაწყისი 8 საათზე.		

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

5/XI	წარმოდგენა 42 ოტელო
6/XI	წარმოდგენა 43 სულელი
8/XI	წარმოდგენა 44 ნაპერწკლიდან

23 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების დარჩენილი ნაწილის გაცემა. მიღების დროს სავალდებულოა მეორე შემოსატანი, აგრეთვე დაწესებულებათა მინდობილობა.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

5/XI	ურიელ აკოსტა
6/XI	შური
8/XI	ნაპერწკლიდან

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

ექიმ ნ. გ. კანტოროვიჩის
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის
კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 11—3 ს. და საღამოს 6—8 ს.
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის ხიმშლის, თმის დაცვენის თებოს მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა 19194

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
30 ოქტომბრიდან სააბონემენტო სალაროში სწარმოებს
შეკვეთების მიღება და აბონემენტების გაცემა დილის სპექტაკლებზე.
შეკვეთების მიღების უკანასკნელი დღეა 10 ნოემბერი. 6—1 40

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი
სეზონის გახსნა 6 ნოემბერს
პრემიერა
გ. ნახუცრიშვილის და გ. გამრეკელის
ლადო კეცხოველი
დრამა 4 მოქმ. პიესაში მონაწილეობს მთელი დასი.
დადგმა დ. ანთაძისა (რესპ. დამ. არტისტი), მხატვარი კ. სანაძე
კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი.
წარმოდგენის დასაწყისი სრულ 8 საათზე.
21379 2—2 დირექცია.

სახცირკი. ტელ. 3-11 44
დღეს
დიდი განახლებული
პროგრამა
3 განყოფილებად.
ახალი ნომრები.
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
6 ნოემბერს დღისით წარმოდგენა.
დასაწყ. დღის 2 საათზე.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი
საქპურტრესტი
ყურადღება!
ოქტომბრის დღესასწაულებისათვის საქპურტრესტის საწარმოებში შემოღებულია პურ-ბულკის ნაწარმის ახალი ასორტიმენტი:
კარელიის, მინსკური, ვიტებსკური, რიგული, ბოროდინული და დიკის პური.
შაქრის ბატონები, რუსული ფუნთუშა, ნამტკიცი პური ქიშმიშით, დაწნული—ხაშხაშით, საექიმო პური (დიეტური) და სხვ.
საკონდიტრო და აღმოსავლურ ნაწარმის ფართო ასორტიმენტი, კექსები, ფუნთუშები, შაქარლამა, ნაჭცხვარი, ფახლავა, შაქრიანი პური და სხვ. ფქვილი ბლინებისათვის.
იყიდეთ საქპურტრესტის ფირმის მაღაზიებში:
1. პლეხანოვის პროსპექტი № 147.
2. ლენინის ქ. № 27.
მიიღება წინასწარი დაკვეთები.

1353 დირექცია.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ქამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—289